პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 252 (10949)
ხუთშაბათი, 24 ოქტომბერი, 1957 წ.
ფასი 20 კაპ.

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ოქტომბრის რევოლუციის ბელადს, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის დიდ შთამაგონებელსა და ორგანიზატორს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

სასოფლო საბჭოები საოქტომბრო ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში

სოფლის მეურნეობის მუშაკები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. ახლა ისინი კიდევ უფრო მეტი მონდომებით მუშაობენ კოლმეურნეობებში, მტს-ებში და საბჭოთა მეურნეობებში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ახორციელებენ რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მიმდინარე წელს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი ამაღლებისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებით სასიხარულო ცნობები მოდის იმ რაიონებიდან, სადაც პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასმული ამოცანისა და შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას დროულად ჩაუდგნენ სათავეში რაიონული და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები, რაისაბჭოებისა და სასოფლო საბჭოების ალმასკომები.

საქართველოს მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებების პასუხად თავდადებით იბრძვიან დიადი დღესასწაულის ღირსნიშნავად სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის. ამ შეჯიბრებას პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად სათავეში უდგანან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები.

გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს — ხელისუფლების ნამდვილ სახალხო ორგანოებს ჩვენს ქვეყანაში! — მძლავრად გაისმის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს საოქტომბრო მოწოდება. — **გაუმარჯოს სოციალისტურ დემოკრატიას!**

იმ რაიონებში, სადაც ადგილობრივი საბჭოები სისტემატურად განიხილავენ ალმასკომის სხდომებსა და სესიებზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხებს, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დეპუტატებისა და მშრომელთა სიგნალებს, თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ.

მაგალითად, ბათუმის რაისაბჭოს ალმასკომი ხშირად განიხილავს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხებს და სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. ალმასკომის ასეთი მუშაობის შედეგია ის, რომ ბათუმის რაიონმა პირველი ოქტომბრისათვის შეასრულა პირუტყვის სულადობის ზრდის, წველადობის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმები. გაიზარდა რაიონში რძის წარმოება. პირველი ოქტომბრისათვის ერთ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ კოლმეურნეობებში მიღებულია 1.731 კილოგრამი რძე წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.700 კილოგრამის ნაცვლად.

ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები ახლა წარმატებით იბრძვიან იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. მათ ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მიიღონ 500 ტონა რძე. რაისაბჭოსა და სასოფლო საბჭოს ალმასკომებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა აღებული ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის.

შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის კოლმეურნეობათა გამგეობებთან და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ენერგიულად იბრძვის გურჯაანის რაიონის კარდანახის სასოფლო საბჭოს ალმასკომი. ამ საბჭოში შემავალმა ლენინისა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გეგმა, მნიშვნელოვნად გაზარდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა. კოლმეურნეობებში საგაზაფხულო სამუშაოები ნელი ტემპით მიმდინარეობდა, დრო კი არ ითმენდა. ამ საკითხის შესწავლა დაევალათ დეპუტატებს შ. სესიაშვილს და შ. გულაშვილს. საკითხი ჯერ ალმასკომის სხდომაზე განიხილეს, შემდეგ კი სესიაზე. გამოირკვა, რომ სამუშაოები იმ ბრიგადებში ჩამორჩებოდა, სადაც ვერ უზრუნველყოფდნენ კოლმეურნეთა ორგანიზებულ გაყვანას სამუშაოზე. ჩამორჩენილ ბრიგადებს სასოფლო საბჭოს დეპუტატები მიამაგრეს, რამაც მდგომარეობა სწრაფად შეცვალა, და ყველა სამუშაო აგროტექნიკურ ვადებში შესრულდა. მიმდინარე წლის 9 თვეში სასოფლო საბჭოს ალმასკომის სხდომებსა და სესიებზე 18-ჯერ განიხილეს საკითხი მევენახეობაში, მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ. ასეთი მოწინავე ადგილობრივი საბჭოები სხვაც ბევრია.

მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არიან რაიონები, სადაც ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და საბჭოები შეერთებული ძალით მტკიცედ ვერ იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, დროზე არ იღებენ ზომებს ჩამორჩენის გამოსწორებისათვის, გულგრილი მაყურებლის როლში გამოდიან, ვერ ასრულებენ დავალებას და რესპუბლიკის საერთო წარმატებას უკან სწევენ. მაგალითად, საჩხერის, წყალტუბოს, ცაგერის, ყაზბეგის, ამბროლაურის, გეგეჭკორის, ზესტაფონის, ჭიათურის, მაიაკოვსკის, ქობულეთის, გალის რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა და საბჭოებმა სუსტად იმუშავეს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ აღნიშნულ რაიონებში გასულ წელთან შედარებით წველადობა გადიდების ნაცვლად შემცირდა.

არ შეიძლება შევურიგდეთ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის ნაკლოვანებებს და სოციალისტური შეჯიბრებისადმი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოების ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებს. მთელ რიგ რაიონებში დღემდე გვხვდებიან მუშაკები, რომლებიც ხალისითა და ხმაურით კისრულობენ ვალდებულებებს, შემდეგ კი არ ასრულებენ მათ. ყოველდღიურ ბეჯით მუშაობას ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, შეჯიბრების მიმდინარეობის შემოწმებას მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით ზოგჯერ ცვლიან პარადული ხმაურით.

ადგილობრივი საბჭოების, თვითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, მტს-ის პატრიოტული მოვალეობაა ახალი შრომითი გამარჯვებით შეხვდნენ ოქტომბრის დიად დღესასწაულს.

ქართულ ენაზე გამოიცა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა კრებული „ოქტომბრის რევოლუციის შესახებ“

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა კრებული „ოქტომბრის რევოლუციის შესახებ“. წიგნი გამოცემულია მასობრივი ტირაჟით.

„ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“

ბროშურა ქართულ ენაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვების შემოკლებული ტექსტით

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ბროშურა სახელწოდებით: „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“. ბროშურაში შეტანილია შემოკლებული შინაარსი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებისა მწერლების თათბირზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში 1957 წლის 13 მაისს, მწერლების, მხატვრების, მოქანდაკეებისა და კომპოზიტორების მიღებაზე 1957 წლის 19 მაისს, პარტიულ აქტივზე 1957 წლის ივლისში.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქინფორმი).

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობის შესახებ

მატარებელმა რაკეტმა გაუსწრო თანამგზავრს შემოვლის ნახევარზე მეტით

23 ოქტომბრის ექვსი საათისათვის ხელოვნურმა თანამგზავრმა 278-ჯერ შემოუარა დედამიწას, გაიარა დაახლოებით 11 მილიონ 900 ათასი კილომეტრი. თანამგზავრისა და მატარებელი რაკეტის შემოვლის პერიოდები კვლავ მცირდება და აღნიშნული დროისათვის თანამგზავრის შემოვლის პერიოდი უდრიდა 95,49 წუთს, ხოლო მატარებელი რაკეტის შემოვლის პერიოდი — 95,01 წუთს. 23 ოქტომბერს საღამოს მატარებელი რაკეტი თანამგზავრს გაუსწრებს დროის მიხედვით 53,2 წუთით (შემოვლის ნახევარზე მეტით) და თანამგზავრის წინ ივლის 24 ათას 800 კილომეტრი მანძილით, ამასთან მატარებელი რაკეტი თანამგზავრის აღმოსავლეთით გაივლის 12,3 გრადუსით გრძედზე. 24 ოქტომბერს დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე დაკვირვებისათვის გადმოგცემთ მსოფლიოს იმ პუნქტების სიას, რომელთა რაიონებში გაივლის თანამგზავრი (მოსკოვის დროით).

24 ოქტომბერი

პეტროზავოდსკი 1 საათი და 10 წუთი, ტაშკენტი 1 საათი და 18 წუთი, სტოკჰოლმი 2 საათი და 47 წუთი, მოსკოვი 2 საათი და 49 წუთი, თბილისი 2 საათი და 53 წუთი, ბერლინი 4 საათი და 25 წუთი, მადრიდი 6 საათი და 04 წუთი. (საქინფორმი).

მცხეთის რაიონმა სიმინდის დამზადების გეგმა შეასრულა

მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 20 ოქტომბრისათვის 101,6 პროცენტით შეასრულეს სიმინდის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

სიმინდის დამზადება გრძელდება. (საქინფორმი).

ელდარის საბჭოთა მეურნეობამ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმა შეასრულა

ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, ანაღდებს რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს, 15 ოქტომბერს შეასრულა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმა. ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულია 102,7 პროცენტით, რძისა — 153,7 პროცენტით, მატყლისა — 100,2 პროცენტით, კვერცხისა — 159,4 პროცენტით.

მიმდინარე წლის ცხრა თვეში თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობამ შეადგინა 2.086 კილოგრამი. თვითეულ ძროხაზე მიღებულია 576 კილოგრამით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რძის წარმოება გადიდდა 670 ცენტნერით, ხორცისა — 1.212 ცენტნერით, მატყლისა — 181 ცენტნერით, კვერცხისა — 217 ათასი ცალით. საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის დამზადებულია 47 ათასი ცენტნერი თივა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 27 ათასი ცენტნერისა. საბჭოთა მეურნეობაში მარცვლეული კულტურების მოსავალმა ჰექტარზე შეადგინა 20,4 ცენტნერი. თვითეული ძროხისათვის ჩადებულია 16 ტონაზე მეტი სილოსი.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება. (საქინფორმი).

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საიუბილეო პლენუმი

თბილისში, შ. რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საიუბილეო პლენუმი, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მწერლისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავს. პლენუმში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, ლატვიის, ლიტვის, ჩრდილოეთ ოსეთის მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

საიუბილეო პლენუმი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მდივანმა ს. ჩიქოვანმა.

მოხსენება „ილია ჭავჭავაძე“ — გააკეთა პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ. პოეტმა-აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა გააკეთა მოხსენება თემაზე „ი. ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“. ლიტერატურულმა კრიტიკოსმა ვ. ორლოვმა (ლენინგრადი) თავისი სიტყვა მიუძღვნა რუსული ფილოსოფიის, ლიტერატურისა და კრიტიკის იმ პერიოდს, რომელშიც ყალიბდებოდა ი. ჭავჭავაძე როგორც მოაზროვნე და მწერალი. ლიტერატურულმა კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა გააკეთა მოხსენება „ი. ჭავჭავაძე და თანამედროვეობა“.

პლენუმი დამთავრდა დიდი სალიტერატურო საღამოთი. პოეტმა შ. ალექსიძემ წაიკითხა ნ. ტიხონოვის მისასალმებელი წერილი და ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსი. თვით პოეტი ნ. ტიხონოვი ავადმყოფობის გამო იუბილეზე ვერ ჩამოვიდა. პოეტმა გ. აბაშიძემ წაიკითხა ქართულ ენაზე თარგმნილი მისი ლექსი. ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას ლექსი, რუსულ ენაზე თარგმნილი, წაიკითხა ე. ევტუშენკომ. უკრაინელმა პოეტმა ო. ნოვიცკიმ წაიკითხა ლექსი „გრაბოვსკი თარგმნის ჭავჭავაძეს“. პოეტებმა ა. ჯალილმა (აზერბაიჯანი), რ. ასაევმა (სამხრეთ ოსეთი), ო. იუშჩენკომ (უკრაინა), პოეტმა ქალმა ვ. ზვიაგინცევამ წაიკითხეს მათ მიერ თარგმნილი ი. ჭავჭავაძის ლექსები.

საღამოზე საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ე. ნიკოლაევსკაიამ (მოსკოვი), პ. დოროშკომ (უკრაინა), ბ. შინკუბამ (აფხაზეთი), ა. ველიუგინმა და ა. ოსტრეიკომ (ბელორუსია), ქ. კრაულინმა და ო. ვაციეტისმა (ლატვია). საღამოზე გამოვიდნენ აგრეთვე მწერალი ლ. ქიაჩელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. აბზიანიძე. პოეტებმა ს. შანშიაშვილმა, მ. ბარათაშვილმა, ხ. ბერულავამ, ა. სულაკაურმა, ფ. ხალვაშმა, ო. ჭელიძემ, ა. ბეგაშვილმა წაიკითხეს ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსები.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანმა ს. ჩიქოვანმა მოძმე რესპუბლიკების მწერლებს მადლობა გადაუხადა ი. ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო პლენუმში მონაწილეობისათვის.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საიუბილეო პლენუმის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს ერთ-ერთი უდიდესი საბჭოთა პოეტის, სომხური ლიტერატურის კლასიკოსის ავეტიქ ისააკიანის ხსოვნას.

(საქინფორმი).

სიმინდის მოსავლის აღება კომბაინით

დოვლათით ახარებს გულს ხარაგაუსი შემოდგომა. ყველგან მომხიბლავი სურათია, იგრძნობა სიუხვე. კოლმეურნეები და მექანიზატორები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. წელს მარნეულელ კოლმეურნეებს გასულ წლებთან შედარებით უკეთეს პირობებში მოუხდათ მუშაობა — მათ მიიღეს სიმინდის მოსავლის ასაღები კომბაინი.

კომბაინი „კუ-2ა“ და ორმწკრივიანი ტაროების შემგროვებელი მანქანა „სპ-2“ პირველად სოფელ მარნეულის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მინდორში აამუშავეს. გათენებიდან მარნეულის შარაგზა დაუსრულებელმა ხმაურმა მოიცვა. კოლმეურნეები და მექანიზატორები მიიჩქაროდნენ მინდვრისაკენ... ყველას აინტერესებდა ამ ახალი და გაუმჯობესებული მანქანების მუშაობა. აქ მოვიდნენ აგრეთვე მეცნიერები.

როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და საქართველოს სსრ ზონალური მანქანა-იარაღების საგამოცდო სადგურმა წელს კარგი საქმე გააკეთეს. მათ თავიანთი მეცნიერი მუშაკები სიმინდის მოსავლის აღების პერიოდში მიავლინეს მარნეულის რაიონის სოფელ მარნეულის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც საცდელად გამოყოფილია 104 ჰექტარი სიმინდის ფართობი. სიმინდი აქ კვადრატულ-ბუდობრივად დაითესა. აღნიშნული ინსტიტუტების მუშაკების ხელმძღვანელობით აამუშავეს სიმინდის ასაღები კომბაინი „კუ-2ა“ და ორმწკრივიანი ტაროების შემგროვებელი მანქანა „სპ-2“.

სიმინდის ასაღებ კომბაინს მხოლოდ 3 კაცი ემსახურება: ტრაქტორისტი, კომბაინერი და კომბაინერის თანაშემწე.

— მეტად საინტერესოა ამ კომბაინის მუშაობა, — განაცხადა საუბარში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა გ. შხვაცაბაიამ. კომბაინი „კუ-2ა“ სიმინდს ძირზე ჭრის, შემდეგ ტაროებს აშორებს ჩალას, ნაწილობრივ ტაროს აცილებს ფუჩეჩს და აგროვებს ბუნკერში, ხოლო ჩალას ჭრის, აქუცმაცებს 3-7 სანტიმეტრის სიდიდით და აგროვებს კომბაინზე მიბმულ საზიდარში, აქედან კი ავტომანქანებით გააქვთ სათანადო ადგილას.

„კუ-2ა“ მარკის კომბაინი მოძრაობაში მოჰყავს „დტ-54“ მარკის ტრაქტორს. ამ მანქანას ნორმალურ პირობებში შეუძლია დღეში დაახლოებით 70-80 კაცდღის ეკონომია მოგვცეს.

ყურადღებას იმსახურებს ტაროების შემგროვებელი „სპ-2“ ტიპის მანქანაც, რომელსაც ამუშავებს შედარებით მცირე სიმძლავრის ტრაქტორი „ბელარუსი“ ან „კდპ-35“. ამ მანქანას მუშაობის დროს მოსავლის დანაკარგები უფრო ნაკლები აქვს. ტაროს აცილებს ჩალას. ჩალის ღეროებს დაუჭრელად აგროვებს საზიდარში და ნაკვეთის ბოლოში ყრის გროვებად. გარდა ამისა, ნორმალურ პირობებში შეუძლია სიმინდის მოსავალი 5-6 ჰექტარზე აიღოს და 90 კაცდღის ეკონომია მოგვცეს.

„სპ-2“ ტიპის მანქანის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ სიმინდის ტაროების გადამტანი ელევატორის დახრილი ნაწილი კონსტრუქციული ნაკლოვანებების გამო შეფერხებით მუშაობს, რაც ტაროებს ნაწილობრივ აზიანებს. გარდა ამისა, მანქანის წამყვანი კარგად არ არის დაცული და მას ხშირად მოსავლის აღების დროს ჩალის ღეროები ხვდება. განზრახულია აღნიშნული ნაკლოვანება შემდეგში გამოვასწოროთ.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ მარნეულის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის ასაღები „კუ-2ა“ მარკის კომბაინის შეუფერხებლად მუშაობა სათანადოდ უზრუნველყოფილი არ არის. ეს პირველ რიგში გამოწვეულია კომბაინის ტაროების მომწყვეტი ლილვაკების კონსტრუქციული დეფექტებით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას შემდგომში. მეორე მხრივ აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის დროულად აღებას. აქ კი სიმინდი ძალიან გადამწიფებულია, აღების დროს ტაროების ნაწილი იფშვნება და იკარგება. ამიტომ საჭიროა სიმინდის მოსავალი კომბაინით ავიღოთ დროულად, გადამწიფებამდე. ეს მდგომარეობა უნდა გაითვალისწინონ როგორც მარნეულის მტს-ის მუშაკებმა, ისე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მარნეულის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

დათესილია 207.251 ჰექტარი

დღითიდღე ძლიერდება საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის ტემპი. კოლმეურნეები, მექანიზატორები იბრძვიან თესვის გეგმის ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, ახალი წარმატებების მოპოვებისათვის, დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად.

ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრებზე 20 ოქტომბრისათვის საშემოდგომო თავთავიანი კულტურები დათესილი იყო 207.251 ჰექტარზე. გეგმა შესრულებულია 74,6 პროცენტით. შარშან ამავე პერიოდისათვის თესვის დავალების შესრულება უდრიდა 70,7 პროცენტს.

საშემოდგომო თესვა უკვე დაამთავრეს ბოგდანოვკის, ასპინძის, თიანეთის და გარეუბნის რაიონებმა. ახალქალაქის რაიონში თესვის დავალება შესრულებულია 79,7 პროცენტით, ახალციხის — 83,4, ადიგენის — 55,7, ხაშურის — 63,8, ქარელის — 74,8, გორის — 71,3, კასპის — 70,5, წალკის — 94,6, დუშეთის — 84,5, თეთრი წყაროს — 78,9, გურჯაანის — 70,9, კაჭრეთის — 71,4, სიღნაღის — 92,7, წითელწყაროს — 75,6, თელავის — 64,3, ახმეტის — 68,3, ყვარლის — 60,8, ლაგოდეხის — 61,7, მცხეთის — 65,4, გარდაბნის — 67,3, მარნეულის — 58,8, ბოლნისის — 67,2, საგარეჯოს — 79,5, დმანისის რაიონში — 97,6, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 71,8 პროცენტით.

მზრალად ხვნა

შარშანდელთან შედარებით წელს მზრალად ხვნა უკეთესად მიმდინარეობს. 20 ოქტომბრისათვის მოხნული იყო 103.108 ჰექტარი, გეგმის 53,8 პროცენტი. გასულ წელს ამავე პერიოდისათვის დავალება შესრულებული იყო 38,5 პროცენტით.

ახალქალაქის რაიონში მზრალად ხვნის გეგმა შესრულებულია 62 პროცენტით, ბოგდანოვკის — 91,4, ახალციხის — 63,8, ხაშურის — 82,7, ქარელის — 82,2, გორის — 54,1, წალკის — 82,2, სიღნაღის — 67,4, წითელწყაროს — 107,5, მარნეულის — 22,8, საგარეჯოს რაიონში — 53,7, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 53,5 პროცენტით.

შაქრის ჭარხლის აღება

20 ოქტომბრისათვის რესპუბლიკაში შაქრის ჭარხალი აღებული იყო 3.097 ჰექტარზე, ანუ გეგმის 62,1 პროცენტი. ხაშურის რაიონში შაქრის ჭარხლის აღების გეგმა შესრულებულია 81,2 პროცენტით, ქარელის — 73,2, გორის — 39,8, კასპის — 61,4, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 52,8 პროცენტით.

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 1957 წლის 21 ოქტომბრის ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება %-ობით წლიურისა
ბათუმის	109,4
ქობულეთის	100,0
ქედის	100,0
სულ აჭარაში	**102,4**
გალის	79,5
ოჩამჩირის	85,8
გულრიფშის	85,7
სოხუმის	94,7
გუდაუთის	65,5
სულ აფხაზეთში	**80,6**
მახარაძის	92,2
ჩოხატაურის	79,1
ლანჩხუთის	94,0
სამტრედიის	77,1
წულუკიძის	70,6
ქუთაისის	73,3
წყალტუბოს	88,4
ტყიბულის	88,7
ცხაკაიას	73,2
აბაშის	50,7
გეგეჭკორის	95,7
ზუგდიდის	84,1
წალენჯიხის	98,6
ჩხოროწყუს	98,4
ხობის	91,7
თერჯოლის	78,0
ზესტაფონის	58,0
ჭიათურის	100,8
ვანის	110,0
სულ საქართველოს სსრ-ში	**90,3**



სიმინდის მოსავლის აღება კომბაინით მარნეულის რაიონის სოფელ მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. (მარჯვნივ) ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. შხვაცაბაია ესაუბრება კოლმეურნეებს კომბაინით სიმინდის აღების მნიშვნელობაზე.

ფოტო გ. გოგოხიასი.

დიდი ოქტომბრის ძლევამოსილი დროშით

* *

სამახსოვრო ადგილები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას პეტროგრადში, ხოლო ამის შემდეგ მთელ ჩვენს ქვეყანაში საქართველოს მშრომელები უდიდესი სიხარულით და აღფრთოვანებით შეხვდნენ. მუშებმა, გლეხებმა და ჯარისკაცებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თავდადებული ბრძოლა გააჩაღეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ოქტომბრის იდეების გამარჯვებისათვის.

სამი წლის განმავლობაში მენშევიკებსა და მათს ბატონ-პატრონებს — უცხოელ ინტერვენტებს პირდაპირ მიწა ეწვოდათ ფეხქვეშ. ქალაქებში ზედიზედ იმართებოდა გაფიცვები, დემონსტრაციები, სოფლებში ეწყობოდა გლეხთა შეიარაღებული აჯანყებანი. საქართველოს კომუნისტები — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე მებრძოლი რაზმი — მეტად მძიმე არალეგალურ პირობებში ამზადებდნენ მასებს ანტიხალხური მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშისათვის.

საქართველოს მშრომელთა 1917-1921 წლებში გმირული ბრძოლის აღსანიშნავად რევოლუციური ამბების სამახსოვრო ადგილებში იდგმება ობელისკები და მემორიალური დაფები. ისინი მოგვაგონებენ სახელოვან წარსულს, თუ რა მძიმე მსხვერპლისა და თავდადებული ბრძოლის ფასად არის მოპოვებული დიდი ოქტომბრის გამარჯვება.

თბილისის ცენტრში — კომუნართა ბაღის (ყოფილი ალექსანდრეს ბაღი) ქვემო ნაწილში აიგება ობელისკი. იგი უკვდავყოფს იმ ადგილის ხსოვნას, რომელიც 1917 წლის მქუხარე დღეებში ბოლშევიკებისათვის იყო ტრიბუნა, საიდანაც ისინი პროპაგანდას უწევდნენ ლენინის იდეებს მუშათა და გლეხთა მრავალათასოვანი მასის წინაშე. ობელისკი მოგვაგონებს საქართველოში სამოქალაქო ომის ისტორიის ერთ-ერთ ტრაგიკულ ამბავს — მენშევიკთა მიერ მშრომელთა მიტინგის დახვრეტას. ობელისკს ერთ მხარეზე ექნება წარწერა: „ამ ბაღში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ეწყობოდა მუშათა და რევოლუციონერ ჯარისკაცთა ხალხმრავალი მიტინგები“.

მემორიალური დაფა გაუკეთდება № 1 სახლს ჯორჯაძის ქუჩაზე. აქ 1917 წელს მოთავსებული იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების საბრძოლო ორგანოს „კავკაზსკი რაბოჩის“ რედაქცია.

აფხაზეთის მშრომელთა გმირულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის მოგვაგონებს მემორიალური დაფა, რომელიც გაუკეთდება ერთ-ერთ შენობას სოხუმში, სადაც 1918 წლის 8 აპრილიდან 17 მაისამდე მოთავსებული იყო ამ დროს აფხაზეთში არსებული საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელი ორგანო — სოხუმის ოლქის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი.

დუშეთის მაზრაში 1918 წელს მოხდა გლეხთა დიდი შეიარაღებული აჯანყება. ამის სამახსოვროდ მემორიალური დაფა გაუკეთდება ერთ-ერთ შენობას ქალაქ დუშეთში, სადაც 1918 წლის 25 ივნისს დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების ყრილობამ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა და აღმასრულებელი კომიტეტი აირჩია.

ობელისკი, რომელიც დაიდგმება გველეთის ხიდთან, რომელიც ყოფილი დუშეთის მაზრის (ამჟამად ყაზბეგის რაიონი) ტერიტორიაზე მდებარეობს, მოგვაგონებს 1918 წლის 13 ივლისს აქ მომხდარ სამახსოვრო ამბავს. ამ ადგილას მედგარ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკური მთავრობის ჯარების წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოს გლეხთა შეიარაღებული რაზმები ა. ა. (საშა) გეგეჭკორის ხელმძღვანელობით, რომლებიც დუშეთის მაზრის რევოლუციონერ აჯანყებულთა დასახმარებლად მოვიდნენ.

ობელისკი ქალაქ ზუგდიდში დაიდგმება გლეხთა გმირული აჯანყების აღსანიშნავად. ამ ადგილებში 1918 წლის 26-28 ივნისს ზუგდიდის მაზრის აჯანყებული გლეხები, რომელთაც ხელში აიღეს ძალაუფლება, გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკური მთავრობის ჯარების წინააღმდეგ.

ობელისკი აიგება აგრეთვე ლეჩხუმის მაზრის ადგილ „გორმაღალაში“. აქ 1918 წლის ივლისის დამლევს მოხდა შეტაკება ლეჩხუმის მაზრის რევოლუციონერ გლეხებსა, რომლებიც იცავდნენ მათ მიერ დამყარებულ საბჭოთა ხელისუფლებას, და მენშევიკთა შეიარაღებულ ძალებს შორის. ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა და დაიჭრა ასზე მეტი გლეხი.

სამხრეთ ოსეთის რევოლუციონერ აჯანყებულთა სახელოვანი გამარჯვების ხსოვნას უკვდავყოფს მემორიალური დაფა, რომელიც გაუკეთდება ყოფილი ქალაქ ცხინვალის (ამჟამად ქალაქი სტალინირი) ერთ-ერთ შენობას. აქ 1920 წლის 8-დან 12 ივნისამდე მოთავსებული იყო სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი, რომელიც წარმოადგენდა სამხრეთ ოსეთში რევოლუციური კომიტეტის მიერ გამოცხადებული საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოს.

მენშევიკებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის ისტორიულ ღირსშესანიშნავ დღეებს მოაგონებს ბათუმის მშრომელებს მემორიალური დაფა ერთ-ერთ სახლზე. აქ იმყოფებოდა 1921 წლის 17 მარტს რევოლუციონერ აჯანყებულთა მიერ შექმნილი რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ობელისკები და მემორიალური დაფები დაიდგმება სხვა ისტორიულ ადგილებშიც, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოში რევოლუციურ ამბებთან 1917-1921 წლების პერიოდში. (საქდესი).

ვ. ი. ლენინის ანდერძი ცოცხლობს და ხორციელდება

სურათზე: აგიტატორი გ. ფრანგულაშვილი ატარებს საუბარს.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

აგიტატორის საუბრიდან

ზემო ავჭალის ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჰიდროელექტროსადგურის კაშხალთან გრანიტის კვარცხლბეკზე აღმართულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლი. ეს ძეგლი განასახიერებს ქართველი ხალხის ერთგულებას ვ. ი. ლენინის ანდერძისადმი.

აქ, ვ. ი. ლენინის ძეგლთან, ზაჰესის ელექტროსაამქროს აგიტატორმა უფროსმა ოსტატმა გრიგოლ ფრანგულაშვილმა მსმენელთა სურვილით მოაწყო მორიგი საუბარი.

— სექტემბერში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის (1917-1957)“, — დაიწყო საუბარი აგიტატორმა გ. ფრანგულაშვილმა. — ეს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. მასში მოცემულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, იგი ასახავს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ტრიუმფს. მასში მოყვანილი ფაქტები და ციფრები მკაფიოდ მოწმობენ იმას, თუ რა გიგანტური ნაბიჯებით მიდის ჩვენი ქვეყანა წინ, კომუნიზმისაკენ, რა ბედნიერი გახდა საბჭოთა ადამიანების ცხოვრება.

აგიტატორი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ დიდ წვლილს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ პროგრესში შეიტანეს საბჭოთა მეცნიერებმა. ჩვენმა მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა და ინჟინრებმა მსოფლიოში პირველებმა შექმნეს ატომური ელექტროსადგური, საკონტინენტთაშორისო რაკეტი და დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი.

ხმები: — დიდი გამარჯვებაა!

აგიტატორი: — კომუნისტური პარტია ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია ყველა იმ გამარჯვებისა, რომელიც საბჭოთა ხალხმა ორმოცი წლის მანძილზე მოიპოვა. ჩვენი ჰიდროელექტროსადგურიც ოქტომბრის პირმშოა. იგი აშენდა ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და მითითებით, მისი „გოელროს“ გეგმით, საბჭოთა კავშირის პირველი ჰიდროგიგანტის — „ვოლხოვსტროის“ პარალელურად. 1922 წელს რსფსრ მთავრობამ, ვ. ი. ლენინის მითითებით, საქართველოს სსრ მთავრობას გადასცა 750 ათასი მანეთი ოქროთი ზაჰესის მშენებლობის დასაწყებად. ამავე წელს გრანდიოზული შაბათობით, რომელშიც მონაწილეობდნენ ს. ორჯონიკიძე და ფ. მახარაძე, საფუძველი ჩაეყარა ზაჰესის მშენებლობას.

ხმები: — კარგად გვახსოვს ის დღე. მაშინ პირველად ვნახეთ სერგო ორჯონიკიძე! მეხსიერებაში სამახსოვროდ დაგვრჩა 1926 წლის 2 ივნისი. ი. ბ. სტალინმა დაათვალიერა ზაჰესის მშენებლობა, საუბარი ჰქონდა მუშებთან! ღირსსახსოვარია ზაჰესის საზეიმო გახსნის დღეც — 1927 წლის 27 ივნისი. ზეიმში მონაწილეობა მიიღო მ. ი. კალინინმა!

აგიტატორი: — ზაჰესის პირველი რიგი 12,8 ათას კილოვატ ენერგიას იძლეოდა. შემდეგ მისი სიმძლავრე რამდენჯერმე გაიზარდა. განხორციელებულია აგრეგატების მართვის მთლიანი ავტომატიზაცია. ამან უზრუნველყო სადგურის უწუნო, უავარიო მუშაობა, მნიშვნელოვნად შემცირდა მორიგე პერსონალიც. თუ ავტომატიზაციამდე ცვლაში 10 კაცი მუშაობდა, ახლა მთელ სადგურს 2 კაცი მართავს.

ელექტროსაამქროს კოლექტივი წარმატებით ასრულებს აღებულ ვალდებულებებს. მათ ახალი შრომითი საქმეებისათვის აღაფრთოვანებს საოქტომბრო მოწოდებები. საამქროში წელს პირველად ვცადეთ № 1 გენერატორის სტატორის შეკეთება ხვეულის ნაწილობრივი შეცვლით, და კარგი შედეგი მივიღეთ. წინათ ასეთი სამუშაოს შესრულებისათვის ლენინგრადიდან ვიწვევდით ხოლმე სპეციალისტებს.

ზ. ქსოვრელი: — ჩვენ სატრანსფორმატორო ზეთის აღდგენის საქმეშიც გვაქვს გამოცდილება. როგორც ცნობილია, ზეთი ექსპლოატაციაში გარკვეული პერიოდის შემდეგ კარგავს თავის თვისებებს, უვარგისი ხდება. ჩვენ ვაწარმოებთ უვარგისი ზეთის აღდგენას პირვანდელი თვისებებით და ამით სახელმწიფოს ათასობით მანეთ ეკონომიას ვაძლევთ.

აგიტატორმა გ. ფრანგულაშვილმა საუბრის დიდი ნაწილი დაუთმო იმას, თუ რა საამურად ცხოვრობენ ოქტომბრის მზით გაცისკროვნებულ ქვეყანაში ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ზაჰესელი ენერგეტიკოსები.

ი. ჭოხონელიძე: — მე, მაგალითად, ყოველთვიურად 1.198 მანეთ პენსიას ვიღებ და ბედნიერად ვცხოვრობ.

აგიტატორი: — ყოველწლიურად ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ენერგეტიკოსთა დაბა. მოიკირწყლა და მოასფალტდა ქუჩები. ფართოდ არის გაშლილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. მარტო შარშან და წელს ათობით ზაჰესელმა ენერგეტიკოსმა აიშენა ახალი ბინა. ამჟამად დაბაში არის არასრული საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი და ბიბლიოთეკა, საფოსტო განყოფილება, სასურსათო და სამრეწველო მაღაზიები, პურის საცხობი, სასადილო, საექიმო პუნქტი, აბანო.

აგიტატორმა გ. ფრანგულაშვილმა საუბარი დაამთავრა. გაისმა შეძახილი:

— დიდება დიდ ოქტომბერს!

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

• • •

სახელოვანი თარიღის შესახვედრად

ჭიათურა, (საქ. კორ.). მარგანეცის ქალაქში გაჩაღებულია მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ბიბლიოთეკებსა და წითელ კუთხეებში მოწყობილია ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილი მასალებისა და დოკუმენტების გამოფენა. მაღაროებსა და მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში იმართება ლექცია-მოხსენებები შემდეგ თემებზე: „პარტიის კურსი შეიარაღებული აჯანყებისაკენ“, „ბოლშევიკური პარტია ოქტომბრის რევოლუციის მომზადების პერიოდში“, „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა“, „პროფკავშირების როლი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში“ და სხვ.

ეწყობა მაღაროელთა ექსკურსიები საქართველოს ისტორიულ-რევოლუციურ ადგილებში. კინოთეატრებსა და კლუბებში უჩვენებენ ცნობილ კინოფილმებს — „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“, „პროლოგი“ და სხვ. ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი სადღესასწაულოდ ამზადებს ბ. ლავრენევის „რღვევას“.

განზრახულია მოეწყოს ძველი ბოლშევიკების შეხვედრა ახალგაზრდობასთან.

მოწოდების საპასუხოდ

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა მეცნიერთა, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეთა მოწოდება საქართველოს სსრ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის სახელოვნად აღნიშვნის შესახებ.

ამ მოწოდების საპასუხოდ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუშაკებმა მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს. თეატრში ჩამოყალიბდა მხატვრული ბრიგადები, რომელთა შემადგენლობაში შედიან დასის საუკეთესო ძალები — სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები მ. ნაკაშიძე, ნ. ხარაძე, ე. გოსტენინა, ნ. ბელაძნელი, ზ. კიკალეიშვილი, ვ. წიგნაძე, ახალგაზრდობიდან — მსახიობები ზ. ანჯაფარიძე, ნ. ანდღულაძე, ი. შუშანია, თ. მუშკუდიანი, მ. ამირანაშვილი და სხვები.

მხატვრული ბრიგადების შექმნა მიზნად ისახავს გააცნონ თეატრის საოპერო დასის წარმატებანი მშრომელებს — ქარხნების, ფაბრიკებისა და მშენებლობათა კოლექტივებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა არმიის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს.

მხატვრულმა ბრიგადებმა კონცერტები უკვე მოაწყეს თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში, ოფიცერთა სახლში, საორთქლმავლო დეპოში, № 7 სამკერვალო ფაბრიკაში, სადაც მათ გულთბილ შეხვედრებს უწყობდნენ. უახლოეს ხანებში თეატრის საოპერო დასის წარმომადგენლები თავიანთ ხელოვნებას გააცნობენ ქალაქის სხვა საწარმო-დაწესებულებებს, ბოლნისისა და დმანისის კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებს.

ამ დღეებში თეატრის შენობაში მოეწყობა საშეფო წარმოდგენა თბილისის გარნიზონის ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის. ნაჩვენები იქნება პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი“.

საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება

მეფის რუსეთში მშრომელი გლეხობა სულს ლაფავდა გაჭირვებისა და შიმშილისაგან. მემამულეებს, მეფის საგვარეულოს, მონასტრებსა და კულაკებს ეკუთვნოდათ 232 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა. მშრომელ გლეხობას კი სულ ჰქონდა 135 მილიონ ჰექტარზე ნაკლები მიწა. უმიწობა გლეხებს აიძულებდა მიეტოვებინათ თავიანთი ოჯახი და სხვაგან წასულიყვნენ ლუკმაპურის საშოვნელად. ორი მილიონი ღარიბი გლეხი ყოველწლიურად მიდიოდა დღიურ სამუშაოზე სამხრეთში, ჩრდილოეთ კავკასიასა და უკრაინაში და მოჯამაგირედ უდგებოდა კულაკებსა და მემამულეებს.

ოქტომბრის რევოლუციამ, დაამხო რა მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლება, ჩვენს ქვეყანაში დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, საბჭოთა ხელისუფლება. ისტორიაში პირველად გახდა ხალხი თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი: ფაბრიკები, ქარხნები და რკინიგზები, მიწა და მისი წიაღი მშრომელთა კუთვნილებად იქცა.

ოქტომბრის რევოლუციამ განახორციელა გლეხების საუკუნეობრივი ოცნება მიწაზე. მიწის დეკრეტის მიხედვით გლეხობამ მიიღო ყოფილი მემამულეების, მონასტრებისა და სახაზინო 150 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა. ამას გარდა მშრომელ გლეხებს, რომლებიც კოლმეურნეობებში შევიდნენ გადაეცათ კულაკების კუთვნილი 80 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა.

ახლა საბჭოთა კავშირში კოლმეურნეობებს უვადო, სამუდამო სარგებლობაში და უფასოდ გადაცემული აქვთ 653 მილიონი ჰექტარი მიწა. ამას გარდა კოლმეურნეობებს გრძელვადიან სარგებლობაში აქვთ გადაცემული 185 მილიონი ჰექტარი მიწა — მიწისა და ტყის სახელმწიფო ფონდებიდან.

რას წარმოადგენდა წვრილი გლეხური მეურნეობა მეფის რუსეთში? რევოლუციამდე გლეხთა კომლებს შორის 65 პროცენტს შეადგენდნენ ღარიბები, 20 პროცენტს საშუალო გლეხობა, 15 პროცენტს კულაკობა. მთელი გლეხური მეურნეობის 30 პროცენტს არ ჰყავდა ცხენი, 34 პროცენტს არ გააჩნდა ინვენტარი, ხოლო 15 პროცენტს — ნათესიც კი.

ლენინური კოოპერაციული გეგმის მიხედვით განხორციელებულ იქნა სოფლად მთლიანი კოლექტივიზაცია. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით სოფლად შეიქმნა ახალი, სოციალისტური წყობილება. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მოასწავებდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მთელი გლეხობის ცხოვრებისა და ყოფის საფუძვლების უღრმეს გარდაქმნას. 25 მილიონი წვრილი გლეხური მეურნეობის ნაცვლად, რომლებიც სსრ კავშირში იყო კოლექტივიზაციის წინ, ახლა არის მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი კოლექტიური მეურნეობანი. ამჟამად საბჭოთა კავშირში არის 78.900 კოლმეურნეობა.

საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მაღალმექანიზებული სოფლის მეურნეობის ქვეყანა გახდა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობა ვითარდება საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივი, მზარდი დახმარების მეოხებით. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში 1946-1950 წლებში შეადგენდა 25,4 მილიარდ მანეთს, 1951-1955 წლებში — 56,8 მილიარდ მანეთს, ხოლო 1956-1960 წლებში გათვალისწინებულია დაბანდებულ იქნას 120 მილიარდი მანეთი.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირი გადაიქცა მსოფლიოს მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, მოწინავე ტექნიკისა და მეცნიერების ქვეყნად.

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად სოფლად შეიქმნა მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სოციალისტურმა გარდაქმნამ საშუალება მისცა სოფელს შეემცირებინა მის მეურნეობებში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი და ბევრად გაედიდებინა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა. ყველა კულტურის ნათესი ფართობი 1913 წელთან შედარებით ერთნახევარჯერ და მეტად გადიდდა. ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა და მინდვრების მოსავლიანობა.

მეფის რუსეთის სოფლის მეურნეობის დიდ ჩამორჩენას მოწმობს ის, რომ რევოლუციამდე გლეხები მიწას ამუშავებდნენ პრიმიტიული იარაღით. 1910 წლის აღწერის მიხედვით გლეხებს ჰქონდათ 7,8 მილიონი ცალი კავი, 2,2 მილიონი ცალი ხის გუთანი, 4,2 მილიონი ცალი რკინის გუთანი და 17,7 მილიონი ცალი ხის ფარცხი.

საბჭოთა ქვეყანა ახლა დასერილია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ფართო ქსელით. თუ 1928 წელს იყო მხოლოდ 1 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, 1930 წელს — 961, 1940 წელს — 7.069, ამჟამად სსრ კავშირში არის 8.000 მტს-ი. მტს-ი გახდა გადამწყვეტ ძალად საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში.

ტრაქტორების, კომბაინების და სატვირთო ავტომობილების პარკის ზრდა საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში
(წლის დასაწყისისათვის ათასობით)



1957 წლის დამდეგს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობას ჰქონდა 1.577 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გაანგარიშებით), 385 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 631 ათასი სატვირთო ავტომანქანა და მილიონობით სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

საბჭოთა კავშირში ყველა მინდვრის სამუშაოთა 80 პროცენტზე მეტს კოლმეურნეობებში ასრულებენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. 1956 წელს მტს-ებმა კოლმეურნეობებში სხვადასხვა სამუშაოები შეასრულეს რბილ ხვნაზე გადაყვანით 642 მილიონი ჰექტარის რაოდენობით.

სულ უფრო მეტ და მეტ გამოყენებას პოულობს სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგია, რომელიც თვალსაჩინოდ ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

საკოლმეურნეო სოფელში გაიზარდნენ შესანიშნავი კვალიფიციური კადრები.

მეფის რუსეთში ხუთი წლის განმავლობაში (1909-1913 წლები) უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მიერ გამოშვებული იყო 3,1 ათასი სპეციალისტი.

საბჭოთა კავშირში მარტო მეხუთე ხუთწლედში უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მიერ მომზადებული იყო 203 ათასი სპეციალისტი, ხოლო მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია 324 ათასი სპეციალისტის მომზადება.

საკოლმეურნეო წყობილებამ ბედნიერება და შეძლებული ცხოვრება დაუმკვიდრა საქართველოს სსრ მშრომელ გლეხობასაც. რესპუბლიკის კოლმეურნეობებს უფასოდ და უვადო სარგებლობაში სახელმწიფო აქტით გადაცემული აქვთ 4.055.546 ჰექტარი მიწა. ამას გარდა გრძელვადიან სარგებლობაში აქვთ 402.123 ჰექტარი მიწა. საქართველოში არის 2.307 კოლმეურნეობა.



საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში მომუშავე უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა რაოდენობა.

განუხრელად იზრდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე. რევოლუციამდე გლეხები მიწას ამუშავებდნენ პრიმიტიული წესით — კავით. ახლა ჩვენი რესპუბლიკის მინდვრებსა და პლანტაციებში მუშაობს 8.000 ტრაქტორზე მეტი (15-ძალიანზე გადაყვანით). კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევს 96 მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შეიქმნა მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობა — საქართველოს მშრომელთა ეს სიამაყე. 1921 წელს სუბტროპიკულ ნარგავებს ეკავათ 1.400 ჰექტარი, 1956 წელს კი — 108.000 ჰექტარზე მეტი.

საკოლმეურნეო წყობილებამ მთელ ჩვენს ქვეყანაში ბრწყინვალედ გაიმარჯვა. საბჭოთა გლეხობა — მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილი — სამუდამოდ დაადგა სოციალიზმის გზას. საბჭოთა მშრომელი გლეხობა აღარ არის წვრილ კერძო მესაკუთრეთა კლასი; იგი გადაიქცა კოლმეურნე გლეხობად, რომლის კეთილდღეობას საფუძვლად უდევს კოლექტიური შრომა და კოლექტიური საკუთრება.

რატომ ჩამორჩნენ მშენებლები?

— ჩვენზე თქვეს, კარგად მუშაობენო? ვინ გითხრათ? — გაკვირვებით შეგვეკითხა უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ნ. სიხარულიძე.

— თქვენს სამმართველოში გვითხრეს.

— ტყუილი უთქვამთ. კარგს ჩვენ თითონ ვერაფერს ვხედავთ, თქვენ რა უნდა გაჩვენოთ. კარგი თუ გინდათ, შეგიძლიათ აი იქ წახვიდეთ, — და სიხარულიძემ კანტორის ფანჯრიდან დაგვანახვა აგურისაგან ნაგები ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სახლი ქვემოთ, კომინტერნის ქუჩაზე, — ისინი გაცილებით სწრაფად აშენებენ, ვიდრე ჩვენ, გეგმასაც ასრულებენ.

— კი, მაგრამ როგორ? თქვენ მსხვილი ბლოკებით აშენებთ, ისინი — აგურით, და მაინც გაგასწრეს?

კანტორაში სიჩუმე ჩამოვარდა. ეუხერხულებოდათ მშენებლებს თვითონ ეღიარებინათ თავიანთი მარცხი. მართლაც, უხერხულია და ამავე დროს საკვირველიც, რომ ინდუსტრიული მეთოდით — ასაწყობი რკინაბეტონის მსხვილი ბლოკებით სახლის აგება უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდეს, ვიდრე მამაპაპური წესით — აგურის წყობით მშენებლობა.

ალბათ თბილისელებს კარგად ახსოვთ როგორ აშენდა პირველი მსხვილბლოკიანი სახლი შარშან საბურთალოზე. მშენებლებმა სასახელოდ გაართვეს თავი მაშინ ჯერ კიდევ ახალ საქმეს, მოკლე დროში—105 დღეში დაამთავრეს 5 სართულიანი შენობის აგება და ყოველმხრივ გამზადებული ჩააბარეს მობინადრეთა შესასახლებლად.

საფიქრებელი იყო, რომ ჩვენი დედაქალაქის მშენებლები ამ გამოცდილებას მასობრივად გამოიყენებდნენ და ამით ბინათმშენებლობის ტემპს საგრძნობლად აამაღლებდნენ. მართლაც წელს თბილისში მსხვილბლოკებიანი მრავალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა გაჩაღდა.

ქალაქში ყველაზე დიდი მსხვილბლოკებიანი საცხოვრებელი სახლების სამშენებლო უბანია საბურთალოზე, პავლოვის ქუჩის ბოლოში, აგურის მშრალი წნეხვის მექანიკური ქარხნის მეზობლად. აქ უნდა აშენდეს რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, მათ შორის 24 და 23-ბინიანი 5 შენობა უნდა დამთავრდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს წელს.

მშენებლობას შეუდგნენ მიმდინარე წლის დამდეგს. გეგმის მიხედვით პირველი სახლი უნდა დაემთავრებინათ აგვისტოს დასაწყისში, ხოლო შემდეგ ყოველ თვეში ჩაებარებინათ თითო შენობა. უკვე გავიდა ცხრა თვე, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი სახლი არ არის დამთავრებული. მშენებლობისათვის გამოყოფილი 8.718 ათასი მანეთიდან დღემდე აუთვისებელია 5 მილიონ მანეთზე მეტი.

ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმის მოუწესრიგებლობა. თავიდან გათვალისწინებული იყო, რომ მშენებლობა ეწარმოებინათ ნაკადური მეთოდით. მშენებლები ზუსტად გრაფიკის მიხედვით უნდა იღებდნენ ყოველ დეტალს. აქ კი ასე არ ხდებოდა. ხშირად ისინი იძულებული იყვნენ რომელიმე კონსტრუქციის უქონლობის გამო შეეჩერებინათ მუშაობა ერთ სახლზე და მეორე შენობაზე გადასულიყვნენ იმისდამიხედვით, თუ რა სახის კონსტრუქციები მოეპოვებოდათ.

მაგალითად, თითქმის თვენახევრის განმავლობაში შეჩერებული იყო მუშაობა მესამე კორპუსზე, ვინაიდან აკლდათ 10 კუბმეტრი მოსაპირკეთებელი ბლოკები ცოკოლისათვის. ხშირად არ ჰქონდათ სართულთა შორის გადასახურავი ფილები, კუთხის კედლისა და საკვამლე და სავენტილაციო ბლოკები, კიბეები და სხვ.

სამშენებლო მოედანზე რომ შეხვიდეთ, შეამჩნევთ, რომ თითქმის ყოველი გასასვლელი ჩახერგილია რკინაბეტონის ბლოკებით, მაგრამ გამოუცდელი კაციც მიხვდება, რომ ეს ბლოკები ერთნაირი მარტივი ტიპისაა, ხოლო რთული კონსტრუქციის ისეთი დეტალები, რომლებიც მცირე რაოდენობით არის საჭირო და ურომლისოდაც სახლის მშენებლობის დამთავრება არ შეიძლება, სულ არ მოიპოვება მთელ მოედანზე.

ამის მიზეზი ის არის, რომ რკინაბეტონის ქარხნები და პოლიგონები რთულ კონსტრუქციებს ძალიან ცოტა რაოდენობით უშვებენ. მაგალითად, თბილისის რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანა (დირექტორი რ. ბოლქვაძე, მთავარი ინჟინერი ნ. პატარაია) ყოველდღიურად ამზადებს მხოლოდ ერთ ცალ კიბეს, ქარხნის კოლექტივს არც აქვს შესაძლებლობა მეტი გამოუშვას, ვინაიდან არ მოეპოვება ამისათვის საჭირო ლითონის ფორმები.

ერთი შეხედვით ქარხანა ცუდად როდი მუშაობს. პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა აქ 104,4 პროცენტით შეასრულეს, გეგმის გადამეტებით 300 ათას მანეთისაზე მეტი დეტალები გამოუშვეს, მაგრამ ეს მოხდა უმთავრესად საკედლე ბლოკების გამოშვებით, ხოლო სართულთა შორის გადასახურავი ფილების გამოშვებაში ჩამორჩნენ.

მსხვილბლოკებიანი საბინაო მშენებლობის ჩამორჩენის ერთერთი მიზეზი ისიც არის, რომ მგეგმავმა ორგანიზაციებმა დროზე არ გაითვალისწინეს არსებული ინდუსტრიული ბაზის სიძლიერე, დაგეგმეს იმდენი მსხვილბლოკიანი სახლების მშენებლობა, რომ ინდუსტრიულმა ბაზებმა ვერ უზრუნველყვეს მათი სათანადოდ მომარაგება.

მართალია, უკანასკნელ ხანებში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა, მაგრამ წლის პირველი ნახევრის ჩამორჩენა მაინც ვერ იქნა დაძლეული.

გაკვირვებას იწვევს მსხვილბლოკებიანი მშენებლობების ტერიტორიული განლაგებაც. განა გაცილებით უკეთესი არ იქნებოდა, რომ პავლოვის ქუჩაზე, ზედ საბურთალოს აგურის მექანიკური ქარხნის წინ, აგურით ეშენებინათ, ხოლო მსხვილი ბლოკები გამოეყენებინათ იმ უბნებში, რომლებიც შედარებით უფრო ახლოა რკინაბეტონის ქარხნებთან და პოლიგონებთან?

წლის ბოლომდე ცოტა დრო დარჩა, მაგრამ პავლოვის ქუჩაზე მსხვილბლოკებიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლები კიდევ შეძლებენ ჩამორჩენის გამოსწორებას, დავალების შესრულებას, თუ მათ მეტ დახმარებას გაუწევენ და უკეთ მოამარაგებენ.

შ. ცირეკიძე, ზ. ჩილაჩავა.

აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა თათბირი

სოხუმი, 18 ოქტომბერი. (საქდესი). სოხუმში გაიმართა აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი „აფხაზური ლიტერატურისა და ხელოვნების მდგომარეობისა და მორიგი ამოცანების შესახებ". მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. თარბამ.

აფხაზური ლიტერატურა საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა. აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციაში ნაყოფიერად და შეწყობილად მუშაობენ ლიტერატორები, რომლებიც წერენ აფხაზურ, ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის მეოხებით გაუმჯობესდა ლიტერატორთა შემოქმედებითი მუშაობის პირობები. შეიქმნა აფხაზეთის მწერალთა კავშირი, მოგვარდა ჟურნალების „ალაშარის", „ამცაბზის", ქართული და რუსული ლიტერატურის ალმანახების გამოცემა. აღნიშნა რა, რომ უკანასკნელ დროს დაბეჭდილ ნაწარმოებთა უმრავლესობას ახასიათებს თანამედროვეობის მაღალი გრძნობა, მომხსენებელმა თათბირის ყურადღება მიაქცია აფხაზეთის მწერლების შემოქმედებითი მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებს.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა აფხაზეთში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის ზრდაზე, იმაზე, თუ როგორ ემზადებიან სოხუმის სახელმწიფო თეატრის მუშაკები, მხატვრები, მოქანდაკეები, კომპოზიტორები დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის და თბილისში აფხაზური ხელოვნებისა და ლიტერატურის მომავალი დეკადისათვის.

შეეხო რა თბილისში ამ ცოტა ხნის წინათ გამართული ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის შედეგებს, მომხსენებელმა ილაპარაკა კულტურული ფრონტის მოღვაწეთა შორის იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების ამოცანებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ პოეტმა ბ. შინკუბამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა ჰ. ბღაჟბამ, სოხუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა შ. გაბესკირიამ, რეჟისორებმა ა. აგრბამ და ი. კაკულიამ, მწერლებმა ა. ჯონუამ და ვ. ვოლდომ, მხატვარმა ჰ. კუკულაძემ და სხვებმა.

დასასრულ თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ო. გოცირიძემ.

ტელეფონი მთის კოლმეურნეობაში

ლენინგორი. (საქ. კორ.). დღითიდღე იზრდება მთის სოფლის კულტურა. რაიონის მაღალმთიან სოფლებში მუშაობენ კლუბები, ქოხსამკითხველოები, ბიბლიოთეკები. ბევრგან კოლმეურნეთა ინიციატივით მოეწყო რადიოკვანძები, ალაპარაკდნენ რეპროდუქტორები და რადიომიმღებები.

ახლახან დაიწყო ლენინგორის რაიონის მთის სოფლების ტელეფონიზაცია. სატელეფონო კავშირი დამყარდა კავკასიონის მთების სიღრმეში მდებარე სოფლების ჩიგოიანის, ლომისის, წოლდის, წუბენის, ქურთის და ალევის კოლმეურნეობებთან. სატელეფონო ხაზი გაყვანილ იქნა აგრეთვე სოფელ პავლიანის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში. მიმდინარეობს წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოები სოფლების დადიანეთის, უკანამხარისა და თოხთის კოლმეურნეობათა ტელეფონიზაციისათვის. მთის სოფლის მცხოვრებნი აქტიურად ეხმარებიან მეკავშირეებს სამუშაოთა დროულად შესრულებაში.

სიღნაღის რაიონი. ამას წინათ დაბა წნორში გაიხსნა წიგნის უგამყიდველოდ ვაჭრობის ახალი მაღაზია. მაღაზიაში მრავალი სახის პოლიტიკური, მხატვრული, სასოფლო-სამეურნეო, საბავშვო ლიტერატურაა.

ამ დღეებში მაღაზიაში დაიწყო ხელის მოწერა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრულ გამოცემაზე.

სურათზე: ზემოთ — წნორის წიგნის მაღაზიის თანამშრომელი ვ. სიფრაშვილი იღებს ხელის მოწერას ვ. ი. ლენინის თხზულებებზე. ქვემოთ — წიგნის ახალი მაღაზია დაბა წნორში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ავეტიქ ისააკიანი

გარდაიცვალა დიდი სომეხი მწერალი ავეტიქ სააკის-ძე ისააკიანი. სომხეთის სახალხო პოეტი ა. ს. ისააკიანი იყო არა მარტო სომეხი ხალხის დიდი მომღერალი, არამედ მთელი საბჭოთა პოეზიის სიამაყე.

ა. ს. ისააკიანს ოვანეს თუმანიანთან, ვაჰან ტერიანთან, ეღიშე ჩარენცთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის სომხური ლიტერატურის განვითარების საქმეში. მისი უკვდავი ნაწარმოებები — ბრწყინვალე პოემები: „აბულ-ალა-მაარი", „მჭერი სასუნიდან", ლექსები, მოთხრობები და ნოველები შევიდა მსოფლიო პოეზიის საგანძურში.

ა. ისააკიანი ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში ის უცვლელად ხელმძღვანელობდა სომხეთის მწერალთა კავშირს. იყო სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატი.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა ა. ისააკიანის შემოქმედება და მიაკუთვნა პირველი ხარისხის სტალინური პრემია. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით და მედლებით.

ა. ისააკიანი იყო თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი და ამავე დროს ხალხთა მეგობრობის მგზნებარე მომღერალი. ის იყო ქართველი ხალხის დიდი მეგობარი, უაღრესად აფასებდა ქართულ კულტურას, კერძოდ მის ლიტერატურას.

ქართველი ხალხი მოძმე სომეხ ხალხთან ერთად ღრმა მწუხარებით ეთხოვება სომხეთის პოეზიის დიდ ოსტატს, საყვარელ ვარპეტს, სომხური ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელს ავეტიქ სააკის-ძე ისააკიანს.

უკვდავი პოეტი

როგორ მიმძიმს სომხეთის ამ დიდ პოეტზე და საუცხოო ადამიანზე—ავეტიქ ისააკიანზე სამგლოვიაროდ კალმის დაძვრა!

ჩემი გულისათვის მეტად ძნელია იმ სინამდვილის ახლო გაკარება, რომ მართლა ძვირფასი ავეტიქი უკვე გარდაცვლილია და მინდა როგორც ცოცხალზე ისე ვილაპარაკო. შორს ჩვენგან ცრემლები ავეტიქის გამო.

ის ჩვენგან მხოლოდ თაყვანებისა და დიდების ღირსია.

დავიწყებ მისი გარეგნობიდან. გარეგნობა ხომ ეს თითქოს ეგრეთწოდებული სადარბაზო ბარათია ადამიანისა. ზოგჯერ ძნელად გამოსაცნობი, ამიტომ მეტი დაკვირვება გვმართებს.

მე კი პირველი შეხედვა ავეტიქისა თითქოს მოღუშულ კაცის სახეს მიჩვენებს. სხეულებრივ კარგად ჩამკვრივებულს და შეჭედილს, როგორიც იმ ხალხის ისტორიაა, რომელსაც ის ეკუთვნის.

მოღუშულობა ამ ისტორიის მანძილზე მისი ქვეყნის წარსულში ბევრ სიდუხჭირის გამო გამოწვეული სევდაა, ამ საუცხოო პოეტის სახეზე აღბეჭდილი.

აგერ მისი შუბლი. ფართო და დიდი მოედანი აზროვნებისა და ნაზი პოეზიისა. აი პატარა, მაგრამ მეტად ცოცხალი თვალები შეუმჩნევლად, თავისთვის ციმციმებენ... და თუ თქვენ ჩაწვდით მის ციმციმს — იხიბლებით. ხშირად დავმტკბარვარ ამ მისი დინჯი, გონივრული, მაგრამ მოციმციმე და ჰუმორით შემკული თვალების გამომეტყველებით.

ჩემთვის ის მუდამ წარმოადგენდა თავისი გარეგნობითაც სომეხი ხალხის უკვდავ სახეს, ხოლო როცა უფრო ახლოს თავის სულიერ არსში ჩაგახედებდათ, რა ნათელი, ჰუმანიური ადამიანი გამოჩნდებოდა!

სიტყვაძვირი ჩანდა თითქოს, მაგრამ აშკარად იგრძნობდით, თუ რა დიდი პატრიოტი და მოქალაქე იყო თავისი ქვეყნისა და იმავე დროს რა გამგები და მოყვარული მოძმე რესპუბლიკების ვითარებისა. ასეთ მოპყრობას მუდამ ვგრძნობდი მისგან საქართველოსადმი. ბედნიერი ვიყავი მისი პირადი მეგობრობით.

საყვარელო ავეტიქ! მომიტევე, რომ შენს დიდ დამსახურებაზე სომხეთის ლიტერატურისა და პოეზიის წინაშე ვერაფერი ვთქვი ჩემი ღარიბი სიტყვებით, მაგრამ ბედნიერება ის არის, რომ შენი დიდი ღვაწლი ცნობილია არათუ მარტო შენს ქვეყანაში, არამედ მთელ ჩვენს დიად კავშირში და საზღვარგარეთაც.

ეს არის კიდეც ნუგეში და დიდი სახსოვარი შენი მშვენიერი პიროვნებისა, რომ შენ...

უკვდავი ხარ!

შალვა დადიანი.



ღალიანობას...

ტყე უკაცრიელს ჰგავდა. ჭრიჭინაც კი, აქამდე ყურისწამღები ჭრიჭინით რომ იკლებდა აქაურობას, მიყუჩდა. ნიავიც არ იყო. ირგვლივ არავინ ჩანდა, მხოლოდ შიგ შუაგულ ტყეში, ერთი ბებერი წაბლის ხის ქვეშ, ყმაწვილი ატუზულიყო. დიდრონი, გიშერივით შავი თვალები კიდევ უფრო გადიდებოდა, გუგები ნაღვერდალივით ანთებოდა და ჯიუტად უმზერდა მის წინ მდგომ უცნობს. უცნობი მოხუციაო ვერ იტყოდით, თუმცა ზღარბსავით გაბურძგნილ თმაში თეთრი უფრო მეტი გარეოდა.

— მიმიშვი, ბიჭო! შენი მამისტოლა მაინც არა ვარ?

არა, არა! — კბილები დააღრჭიალა ყმაწვილმა, სიტყვის თქმა აღარ დააცალა, ხელები გაშალა და ზურგით ხეს აეკრა.

— აუ, დაგკბენს!, დაიშინა უცნობმა. წამოიწია და გადასარჩენად მაჯაში სტაცა ხელი, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრა ეს ჩიტივით მსუბუქი ბიჭი. იმან ღონივრად გამოსტაცა ხელი, უმცროს-უფროსობა დაავიწყდა და მუქარას მოჰყვა:

— არ მომეკარო, თორემ ინანებ, გიკბენ, ფუტკარზე მწარედ გიკბენ!..

უცნობს მის მუქარაზე ღიმილი მოერია. წაბლის ფოთლებს შორის შემოპარული მზის სხივები სახეზე აუციმციმდა და გაღიმებულ ვერცხლის კბილები აულაპლაპა. ტყე თითქოს უფრო გაინაბა და ორთავეს ყური მიუგდო. უცნობი ღიმმორეული, უსიტყვოდ შესცქეროდა ყმაწვილს, რომელმაც კარგა ხნის მივიწყებული ამბავი მოაგონა.

• • •

მისი ნატვრა და ოცნება გაზაფხული იყო. კაცის გულს კი ასე იოლად ვერ მოიგებ. ზამთარია და გაზაფხული კი ენატრება, ზაფხულია და ახლა ზამთარი ურჩევნია. მას კი გაზაფხული ერჩია. მოვა სანატრელი გაზაფხული, მოჰყვება მზე და ყვავილები, დაიწყება ღალიანობა. მაშინ უნდა ნახოთ მისი ფუტკარი. „სახლში" აღარ იცდის. მუშა კაცივით ალიონზე რომ გავა კარში, შემოსვლას აღარ აპირებს. მოსვენება არა აქვთ ყვავილებს. ფუტკრები პატარა ბუსუსიანი ფეხებით ზედ შედგებიან და ისე გამმაგებით სწუწნიან ნექტარს, თითქოს უნდათ მოასწრონ, თორემ შიში აქვთ: კიდევ იქნება მათთვის გაზაფხული, მოვა კიდევ ყვავილები?

ბინდი ხობის წყალს თავის კაბას ჩააცმევს. ხმაურობს ხეობაში გამსხლტარი წყალი. გარბის, გარბის, ვინ მისდევს ნეტავ? ანდა იქნებ ღამის ეშინია და ემალება. მთებსაც ჩრდილი ახლავს, მთას მთა ზურგზე მოუკიდია, ახლა ძმებს ჰგვანან თითქო „ცხენობანას" თამაშობენო. ამ დროს მოდის ფუტკარი „სახლში". მოფრინავს, მძიმედ დატვირთულია, მოაქვს ჭეო და ნექტარი. სკაში სითბოა, სიტკბო. დედა ფუტკარი კვერცხს სდებს და დიდ პატივშია, გადიები თავს ევლებიან.

მთებზე ჯერაც თოვლი არ შემშრალიყო, რომ ტრიფონი ყვავილს დაეძებდა. ნეტავ გენახათ იმ დროს, ხეზე დამსკდარ კვირტს რომ იპოვნიდა. სიხარულით ღვინოს დალევდა, შენც შეგასმევდა: „ეს გაზაფხულის მოსვლას გაუმარჯოსო".

ამ გაზაფხულზე გასაჭირი დაადგა სოფელს. ხელს არ აძლევდა ერთმანეთზე მირიგებული კარგი დარები. დღე დღეს მისდევდა, და მიწა წვიმას არ დაენამა. სწუხდნენ — ყველაფერი „წახდება" და წყალში გადაცვივაო. ტრიფონი კი, თითქო აქაური არ ყოფილიყო, ხვალაც მზეს ნატრობდა, მაგრამ ვერავინ უსაყვედურებდა. ასე არ არის? ვისაც რა სტკივა, იმაზე სწუხს. ჰკითხეთ მებადურს, რათ უყვარს შემოდგომა? ზღვაში ამ დროს ბევრი თევზია და იმიტომ. ყანაში წვიმა მისთვის უხაროდათ — სიმინდი ტანს აიყრისო, ვენახში — ვაზი გაცოცხლდებაო.

მეფუტკრე კაცს კი სხვა რა უნდოდა, თუ არა ისევ მზიანი დილა. შარშან „კარგად" იწვნია ავდრიანობა: ხალხთან შერცხვა. სიტყვა გაუტყდა. საჯიშემ გეგმა ვერ შეასრულა. ტრიფონი უამინდობას აბრალებდა, ფუტკარს კი არა, მაშინ ტრიფონსაც დაჰკარგოდა ხალისი. წელს გაუმართლა. გვიან შემოდგომამდე კი დრო ბევრი იყო. გეგმის შესრულებას აღარაფერი უშლიდათ. ათასხუთასი დედა ფუტკარი უნდა გამოეყვანათ; ათასოთხასი უკვე გამოიყვანეს და კიდეც გაგზავნეს. ჩვენს ქვეყანაში კუთხე არ დარჩა თითქმის, საჯიშეს დედა ფუტკარი რომ არ გაეგზავნა. ალმა-ატაო, ჩუვაშეთიო, ბესარაბიაო, დნეპროპეტროვსკიო, ყირგიზეთიო... უცხოეთიდანაც ბევრი მოთხოვნა ჰქონდათ. მოძმე ჩინეთში, დანიაში, საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ფინეთში, გერმანიაში, ბულგარეთში, ინგლისში... წელს ყველა ამ ქვეყნებს გაუგზავნეს ფუტკრები. იქიდან მადლობის წერილები მიიღეს. ათი ათას დედა ფუტკარზე იყო მოთხოვნა მოსული, აბა ყველას რას გასწვდებოდა ერთი საჯიშე, მაგრამ ბევრს ცდილობდნენ გული არავისათვის დაეწყვიტათ.

გაზაფხულზე დიდი სტუმრიანობა ჰქონდა ტრიფონს. ხალხი ქართული მთის რუხი ფუტკრის შესასწავლად თავის ფეხითაც მოდიოდა აქ. წინადღით საჯიშეს პოლტაველი მეფუტკრეები ეწვივნენ. ტრიფონი ცას ეწია სიხარულით. დარბოდა, ყველაფერს უჩვენებდა. დამტვრეული რუსულით რომ ვერაფერს ხდებოდა, თარჯიმანს იშველიებდა. „ბრატ!", „ბრატ!" ამ ერთ სიტყვას წარამარა გაიძახოდა და ამით უნდოდა ეთქვა ყველაფერი.

ალიონზე დგებოდა ტრიფონი. ღალიანობას მეფუტკრეს საქმეს რა გამოულევს, წამი არ რჩება თავისუფალი, ახლაც ორი დღე ფუტკარს ვერ მოსცილდა და სახლში არ ჩასულიყო. ტრიფონი უფრო მეტს ეშველებოდა ფუტკარს, თუ ფუტკარი ტრიფონს, ამის თქმა ძნელი იყო. იღვიძებდა ფუტკარი და მის ბზუილზე ტრიფონიც ფეხზე იყო. ახლაც ამათთან ერთად ამდგარიყო. მალამოსავით ეამა ცაზე ბურთივით ამოსული მზე. დიდხანს არ გაუვლია, რომ რაისაც აქ გაჩნდა. ეს ქალი ტრიფონის მარჯვენა ხელია. „რაისა — აქაურობას არ სცილდება—ხუმრობდა ტრიფონი,—ფუტკრის სიყვარულით მგონი შინაბერა მრჩება!". ახლა ერთიც და მეორეც საქმეს შესდგომოდნენ. ქალს სკისათვის თავი აეხადა, მის გვერდით იდგა და შიგ ფიჭიან ჩარჩოებს დასცქეროდა. ფიჭაზე ბზუილით ირეოდნენ ფუტკრები. ტრიფონი კი ფარდულთან მუხლებზე ჩამჯდარიყო, წინ გამდნარი სანთლით სავსე ჯამი ედგა და შიგ ვაშლის ხისაგან გათლილ ჩხირს ავლებდა. მისაშველებლად მოამაგესთან ფუტკრებიც მოსულიყვნენ, ზოგი ხელებზე აჯდა, ზოგი შუბლზე, თმაშიც უფუთფუთებდნენ. გუშინდელი ხასიათი გამოჰყოლოდა ტრიფონს, და ახლაც პოლტაველებზე მოჰყვა ლაპარაკს.

— რაისა! — გასძახა ქალს. „დიახ!" — იყო პასუხი. „ნახე, ჩვენმა სტუმრებმა პირველად ხუთი დედა ფუტკარი მომთხოვეს, მერე მოუმატეს, მოუმატეს და ოჯახებიანადაც ბლომად წაიყვანეს.

— ხომ არ დაგენანა? — შეეკითხა ქალი გამომწვევად.

— დამენანაო? — იწყინა ტრიფონმა. — დამენანა კი არა, რომ იცოდე, მიხარია, შვილების გაზრდას, მიხარია. შე ქალო, სიტკბოს ვატან ხალხს, თაფლს სთესავს ჩემი ფუტკარი. მაგრამ ახლა იმის თქმა უფრო მინდოდა, — არ ჩერდებოდა ტრიფონი, — სად არ ეზიდებიან ამ ჩვენს ფუტკარს და კარის მეზობლები თავს არ იწუხებენ. რა უშავს, იმერეთში ანდა ქართლში რომ მოაწყონ საჯიშეები? მთელ მსოფლიოში განთქმულია ჩვენი ფუტკარი. ამდენი მთხოვნელი გვყავს, ყველას ვერ გავწვდებით...

— რაღა შორს მიდიხარ, — გააწყვეტინა ახლა სიტყვა ქალმა. — „სახლში" რომ ხალხი გვყავს, ისინი რატომ ვერ მოარჯულეთ. ჩვენს კოლმეურნეობებში ჩვენი ფუტკარი რომ არ იყოს, გაგონილა?

— ჰო! მართალი ხარ. ათასჯერ მითქვამს...

— ესენი კი, — გადასწვდა ისევ პოლტაველებს ტრიფონი, — იმ სიშორიდან რამ მოიყვანა?

— „გოსპოდინ მუხური", „ბატონო პროფესორო", ეგებ შენც მოგიწვიოს გერმანიაში წასვლა, მეფუტკრეების კონგრესს გიწვევთო, გეპატიჟებიან, — გაახსენა რაისამ ტრიფონს ამას წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მოსული წერილი. იქაურ პროფესორს გაეგო ჩხოროწყუს რაიონში მუხურის მეფუტკრეობის საჯიშეს არსებობა, მეფუტკრე ტრიფონის სახელიც. სთხოვდა ოთხი დედა ფუტკარი გამომიგზავნეთო. პროფესორს სოფლისა და ტრიფონის სახელი ერთმანეთში არეოდა, „ბატონო პროფესორო მუხურო", — წერდა იგი ტრიფონს. მას შემდეგ მუხურში „გოსპოდინ მუხური" შეარქვეს ტრიფონს.

— ჰო! ჰო! შენც წამოხვალ, არა? მე პროფესორი ვგონებივარ, — სიცილით უთხრა ტრიფონმა. ა? წამოხვალ, რაისა? — კვლავ გაუმეორა, მაგრამ პასუხს ვერ ეღირსა, მაშინ კისერი მოიღრიცა და იქითკენ გაიხედა, სადაც ქალი ეგულებოდა. რაისა კვლავ სკასთან იდგა, ჩარჩო ამოეღო, მთელი გულისყური აქეთკენ ჰქონდა.

— რა მოხდა? — შიშნარევი ხმით იკითხა ტრიფონმა. იმან უსიტყვოდ სკაზე ანიშნა. ტრიფონი სკასთან მიიჭრა და ზედ დააცქერდა: ფუტკრებს რკოსავით ჩამოეშენებინათ სადედეები. — უბარტყია — უყურე შენ როგორ გამოგვერჩა? აღმოხდა ტრიფონს. აკი ყოველ კვირას სინჯავდნენ სკებს და როგორ ვერ შენიშნა?

— საჯიშეს ორასი ოჯახი ჰყავდა. ყველაზე ძლიერ ოჯახად ტრიფონი ამ სკას თვლიდა. აქაურ დედას ართმევდა კვერცხებს და აქედან გამოჰყავდა ფუტკრები. მერე კი ამის შვილებს სად არ აგზავნიდა. ახლა სწორედ ეს დედა-ფუტკარი გაფრენილიყო.

— ნაყარი გამოსულა, — უთხრა ტრიფონმა რაისას. წამო, ვეძებოთ. თუ ახალი გაფრენილია, ნაყარი ახლო-მახლო ხეზე იქნება შეხვეული. ამის თქმა იყო, რომ ორთავემ სანაყარე ყუთები მოიმარჯვეს და ნაყარის საძებნელად გასწიეს. რაისამ აკაციები ირჩია. იქ დავძებნიო, ლუგელას მიდამოებში საჯიშეს ათ ჰექტარზე ჰქონდა გაშენებული აკაცია. აქ უყვარდა ფუტკარს ყოფნა, და იმანაც იქით გასწია. ტრიფონი კი გზას დაადგა, ხეს არ სტოვებდა, რომ ზედ ფუტკარი არ ეძებნა. ბოლოს თავი შუაგულ ტყეში ამოჰყო. თვალწინ აფრენილ ფუტკარს დაედევნა. ფუტკარი წაბლის ხის გულში შეძვრა. იგი მიჰყვა. შიგ ფუღუროში ჩაიხედა და რას ნახავს თვალი, — კარგა ხანია არ ენახა ხეში ჩაბუდებული ასეთი დიდი ოჯახი. ხეზე ვილაცას თავისი სახელი დანით ამოეჩიჩქნა. დაუსაკუთრებია — გაიფიქრა ტრიფონმა და ხეს გარშემო შემოუარა. სწორედ ამ დროს იყო, ის ყმაწვილი ციყვივით რომ გამოხტა ტყეში და მუქარას მოჰყვა...

ტრიფონი უხმოდ, ღიმმორეული შესცქეროდა ბიჭუნას. ყმაწვილს ეგონა დასცინოდა და ბრაზობდა. ტყე კი ჩუმად იყო, ცნობისმოყვარე ქალივით ყური დაეცქვიტა. მასაც უნდოდა, ალბათ, გაეგო რა ჰქონდა გულში მეფუტკრეს. ტრიფონს მოაგონდა თავისი სიყმაწვილე, მოაგონდა როგორ ეძებდნენ ტყეში სოკოებს ამ ყმაწვილის ტოლი ბიჭები. ის კი სოკოს მაგიერ ფუტკრის „დიდ ოჯახს" წააწყდა. ტყეში ალამებდა და ათენებდა. — ბავშვს მგელი დაგლეჯსო, ამბობდნენ შინ, და ის დიდი ოჯახი ტყიდან სახლში გადმოუყვანეს. მას შემდეგ ოცდაათი წელია, ტრიფონი ამ საქმეს შეაბერდა.

— ვინ იცის, ა? — გაუელვა ტრიფონს. — ამ ბიჭის ბედიც ეგებ ეგ იყოს? იქნებ მეფუტკრე დადგეს?

— ბიჭო, — წამოიწყო ტრიფონმა. — მე გიცნობ — შენ მწყემსი მალხაზის შვილიშვილი არა ხარ? წამო, სკებს მოგცემ, ვერა მცნობ განა? აბა ჰკითხე პაპაშენს მეფუტკრე ტრიფონ გახარია. ყმაწვილს თვალები დაულამდა, თავი ჩაღუნა — როგორ არ იცის მეფუტკრე ტრიფონი? ვინ არ იცის იგი...

— ხედავ, ხეს ბრჭყალები აჩნევია. დათვს მიუგნია, თაფლს შეგიჭამს. შიგ ჩახედე, რამდენი თაფლია, თხუთმეტი ფუთი მაინც იქნება, ამოსაღებია.

ახლა ყმაწვილსაც ღიმილი მორეოდა სახეზე, პირი შოშიასავით დაეფჩინა და ისე უგდებდა ყურს.

ცოტა ხნის შემდეგ, წელან რომ „სასიკვდილოდ" შეებნენ ერთმანეთს, ეს ორი „კაცი", მამა-შვილივით ხელიხელგადახვეული მიაბიჯებდა. ორივე დუმდა. ხასიათზე ვერ იყო ტრიფონი. ტყეში ნაპოვნ ოჯახზე ფიქრობდა; ეგებ ჩემი სკიდან გაქცეული ფუტკრის შთამომავლობაც იყოსო. მისთვის რომ გეკითხათ: ტრაბახობდა ფუტკარი იშვიათად თუ გამქცევიაო— და აბა ვინ იცის? ეგებ ეს ფუღუროც...

— ტყე კი აქამდე უკაცრიელს რომ ჰგავდა და არ ხმაურობდა, ახლა აშრიალდა, ნიავმა წამოუბერა, შტო შტოს მიახალა, ხეები თითქო ხარხარებდნენ — დასცინოდნენ ტრიფონს.

— მერე რა, ჩემო ტრიფონ, ბადალი რომ არა გყავს შენს საქმეში. შენნაირ მეფუტკრესაც გაექცევა ტყეში ფუტკარი. თუ არა გჯერა, მოდი ჩვენთან, მოდი, და ნახე ღალიანობას, ჩვენთანაც ბევრი ფუტკარია. გგონია ეს ერთი ოჯახია ან ერთი ფუღუროა ტყეში? ოღონდაც ეს ტყის საიდუმლოა — ჩურჩულებდა, ხმაურობდა ტყე.

გულნარა ბახტაძე.

სოფ. მუხური.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეთა წერილი ბირმის კავშირის პარლამენტის დეპუტატთა პალატისა და ეროვნებათა პალატის თავმჯდომარეებისადმი

1957 წლის 4 სექტემბერს ბირმის კავშირის პარლამენტის დეპუტატთა პალატამ ერთსულოვნად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

დეპუტატთა პალატის მტკიცე აზრით საჭიროა მოვითხოვოთ, რომ ისეთმა დიდმა სახელმწიფოებმა, როგორიც არიან ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, შეწყვიტონ გამალებული შეიარაღება და ომისათვის მზადება, იბრძოლონ თანდათანობითი განიარაღებისათვის და თავი შეიკავონ გავლენის სფეროებისათვის ბრძოლისაგან.

აღნიშნული რეზოლუცია 1957 წლის 1 ოქტომბერს ეცნობათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარესა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს.

ამასთან დაკავშირებით 22 ოქტომბერს ბირმის პარლამენტის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარესა და ეროვნებათა პალატის თავმჯდომარეს გაეგზავნათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარისა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის წერილი.

ქვემოთ მოყვანილია წერილის ტექსტი.

ფრიად პატივცემულ **ბო ხმუ აუნგს**,
ბირმის კავშირის პარლამენტის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს.

ფრიად პატივცემულ **საო შვე ტაიკს**,
ბირმის კავშირის პარლამენტის ეროვნებათა პალატის თავმჯდომარეს.

ჩვენ გვეცნობა, რომ 1957 წლის 4 სექტემბერს ბირმის კავშირის პარლამენტის დეპუტატთა პალატამ თავის სხდომაზე ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მოთხოვნას, რომ ისეთმა დიდმა სახელმწიფოებმა, როგორიც არიან ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, შეწყვიტონ გამალებული შეიარაღება და ომისათვის მზადება, იბრძოლონ თანდათანობითი განიარაღებისათვის და თავი შეიკავონ გავლენის სფეროებისათვის ბრძოლისაგან.

ჩვენ ვიზიარებთ ბირმის კავშირის პარლამენტის კეთილშობილურ მისწრაფებებს და ჩვენი მხრივ ვსარგებლობთ ამ შემთხვევით, რათა განვაცხადოთ, რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის თანმიმდევრულად ახორციელებდა და ახორციელებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა შეწყვიტონ გამალებული შეიარაღება, სრულიად აკრძალონ ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენება და წარმოება და ამოიღონ ეს იარაღი თავიანთი შეიარაღებიდან, მოსპონ მისი მარაგი, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ამ სახეობათა იარაღის გამოცდა, არსებითად შეამცირონ შეიარაღებული ძალები და შეიარაღება, ლიკვიდაცია უყონ სამხედრო ბაზებს, გაიყვანონ უცხოეთის ჯარები სხვათა ტერიტორიებიდან და სხვ. შესაბამისი საერთაშორისო კონტროლით.

სამწუხაროდ, დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთ საგარეო პოლიტიკაში ეყრდნობიან ნატოს, სეატოსა და ბაღდადის პაქტის ტიპის სამხედრო კავშირებს, რომელთა არსებობაც კი სერიოზულ გავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარების გაუარესებაზე, ფუშავენ განიარაღების საკითხზე შეთანხმების უსწრაფესად მიღწევას. ეს აშკარად გამოვლინდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების ქვეკომიტეტის უკანასკნელ სესიაზე, ქვეკომიტეტისა, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებმა ნამდვილად გადააქციეს შირმად, რომელიც ფარავს გამალებულ შეიარაღებას, რასაც ისინი აწარმოებენ. ამრიგად, საბჭოთა კავშირის ბრალი როდია, რომ განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაში არ არის რაიმე პროგრესი, რომ გრძელდება გამალებული შეიარაღება და იზრდება ატომური ომის საფრთხე.

საბჭოთა კავშირი იმ თვალსაზრისს ადგას, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის და განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა მარტო დიდ, არამედ ამასთანავე პატარა სახელმწიფოებს, რომლებიც, როგორც კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, სულ უფრო აქტიურად მოქმედებენ ამ მიზნების მისაღწევად.

საბჭოთა კავშირს არასოდეს არ უძებნია და არ ეძებს გავლენის სფეროებს და თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე იბრძოდა ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის, კოლონიური ექსპლოატაციისა და სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირი ყოველთვის უჭერდა მხარს ჩაგრულ ხალხთა მოძრაობას ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, ამ ხალხების კანონიერ უფლებათა დაცვისათვის, კოლონიურ სახელმწიფოთა თავდასხმების წინააღმდეგ. ამას საკმაოდ მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა კავშირის პოზიცია ახლო აღმოსავლეთის ამბებთან დაკავშირებით.

დასასრულ ნება გვიბოძეთ გამოვთქვათ რწმენა, რომ ბირმელი ხალხი და ბირმის კავშირის პარლამენტი არც მომავალში შეანელებენ თავიანთ მეცადინეობას კეთილშობილურ ბრძოლაში საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფის მაღალი მიზნების მიღწევისათვის.

ვსარგებლობთ ამ შემთხვევით, რათა კვლავ გამოვთქვათ თქვენდამი, ფრიად პატივცემულო ბო ხმუ აუნგ და ფრიად პატივცემულო საო შვე ტაიკ, ჩვენი უაღრესად დიდი პატივისცემა.

სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭოს კავშირის
საბჭოს თავმჯდომარე
პ. ლობანოვი

სსრ კავშირის
უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა
საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ლაცისი

მოსკოვი, 1957 წლის 22 ოქტომბერი.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი გ. კ. ჟუკოვი ალბანეთში

კორჩა, 22 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი გ. კ. ჟუკოვი, განაგრძობს რა ალბანეთის გაცნობას, დღეს ჩამოვიდა ალბანეთის უძველეს ქალაქ კორჩაში.

კორჩის რაიონი სახელგანთქმულია თავისი დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობით. გლეხების მეურნეობათა კოოპერირებამ აქ უმაღლეს დონეს მიაღწია ალბანეთში — 60 პროცენტზე მეტს. შაქრის ქარხანა, რომელიც კორჩას მახლობლად მდებარეობს, შაქრით უზრუნველყოფს მთელ ალბანეთს.

საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის შენობასთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. სტუმრებს მიესალმა კორჩის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მუჰთარ გრაბოცკა. შეკრებილთ სიტყვით მიმართა მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა. შემდეგ გ. კ. ჟუკოვი შეხვდა ალბანეთის თავისუფლებისათვის ბრძოლის ვეტერანებს და დედებს, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი შვილები განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

ამავე დღეს მარშალი გ. კ. ჟუკოვი და მისი თანმხლები საბჭოთა ოფიცრები დაესწრნენ ალბანეთის ჯარის ნაწილის წვრთნას. წვრთნის შემდეგ გაიმართა სადილი მარშალ გ. კ. ჟუკოვის პატივსაცემად. სადილზე სახალხო თავდაცვის მინისტრმა ბექირ ბალუკუმ და მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს დღის მეორე ნახევარში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა შეიკრიბა პლენარულ სხდომაზე, რათა განეხილა სირიის საჩივარი მისი უშიშროებისა და მშვიდობის საქმისათვის საფრთხის შესახებ, რაც მის საზღვრებზე თურქეთის მოქმედების შედეგად შეიქმნა.

განხილვის დაწყების წინ თურქეთის წარმომადგენელმა ესინმა, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის აშკარა წაქეზებით, მიმართა მანევრს, რომლის მიზანი იყო ჩაეფუშა სირიის საჩივრის განხილვა. თურქეთის დელეგატმა მოუწოდა გადაიდოს სირიის საჩივრის განხილვა და წინადადება შეიტანა მიეცათ შესაძლებლობა საუდის არაბეთისათვის განეხორციელებინა მის მიერ დაწყებული შუამავლობა სირიისა და თურქეთს შორის.

განხილვის გადადების შესახებ თურქეთის თხოვნის წინააღმდეგ ენერგიულად გაილაშქრა სირიის წარმომადგენელმა ზეინ ედ დინმა. მან განაცხადა, რომ სინამდვილეში არ არის არავითარი შუამავლობა და რომ ეს არის მანევრი, რომლის მიზანია არევ-დარევის შეტანა და გენერალურ ასამბლეაში სირიის საჩივრის განხილვის ჩაფუშვა. განხილვის მოწინააღმდეგენი, თქვა მან, ცდილობენ გამოიყენონ ეგრეთწოდებული „შუამავლობა“, რათა ჩაფუშონ განხილვა და ამით მიჩქმალონ არსებული მდგომარეობა. ასამბლეისათვის გვერდის ავლის ცდა, თქვა მან, მიუღებელი და დაუშვებელია.

სირიის წარმომადგენელს მხარი დაუჭირა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ა. გრომიკომ. მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარე მუნრო სისტემატურად ცდილობდა ხელი შეეშალა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის გამოსვლისათვის და ყოველნაირად გაეადვილებინა ამერიკა-თურქეთის მანევრები, რომელთა მიზანია სირიის საჩივრის განხილვის ჩაფუშვა, ა. ა. გრომიკომ ამხილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ ახალი მანევრების ორგანიზატორთა ზრახვა, რომლებიც მიმართულია სირიის უშიშროებისა და საერთაშორისო მშვიდობის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკითხი, რომელიც სირიამ აღძრა, განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი ხასიათისაა. იგი შეეხება არა მარტო ახლო და შუა აღმოსავლეთის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს ბედს. საგანგაშო მდგომარეობა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა, მთელ მსოფლიოს უნდა განემარტოს. მთელი მსოფლიოს ხალხები, უნდა გავაფრთხილოთ შექმნილი მდგომარეობის საფრთხის გამო. ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის სირიის წინააღმდეგ აგრესიის მომზადებაში, უნდა დაგმოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია მტკიცედ ეწინააღმდეგება სირიის საჩივრის განხილვის გადადებას და მტკიცედ მოითხოვს მის დაუყოვნებლივ განხილვას.

სირიის საკითხის დაუყოვნებლივ განხილვას მხარი დაუჭირა აგრეთვე ეგვიპტის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ფავზიმ. რამდენადაც დელეგატთაგან არავის არ უკისრია მოსალოდნელი აგრესიის დამცველის როლი და არ შეუტანია ოფიციალური წინადადება დისკუსიის გადადების შესახებ, გენერალურ ასამბლეას კენჭი არ უყრია თურქეთის თხოვნისათვის და დაიწყო სირიის საჩივრის განხილვა.

პირველი გამოვიდა სირიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სალაჰ ბითარი. მან წარმოთქვა ვრცელი სიტყვა, რომელიც ამხილებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ახლო აღმოსავლეთში მათი მოკავშირეების აგრესიულ პოლიტიკას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ხაიფონი, 21 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრები ამხ. ა. ბ. არისტოვის მეთაურობით ეწვივნენ ქალაქ ხაიფონს — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ზღვის კარს.

სტუმრები აქ ეწვივნენ ქალაქის ადმინისტრაციულ კომიტეტს, სადაც ისინი გულთბილად მიიღეს კომიტეტის თავმჯდომარემ ჰოანგ ჰიუ ნიანმა, კომიტეტის წევრებმა, პარტიის საქალაქო კომიტეტის, სამამულო ფრონტისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

დელეგაციის წევრებმა ქალაქის გაცნობა დაიწყეს ნავსადგურის დათვალიერებით, რომელიც საფრანგეთის ჯარებმა დაანგრიეს, როცა იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ეს ნავსადგური 1955 წლის მაისში. ახლა ნავსადგური მთლიანად აღდგენილია, მისი ტვირთბრუნვა ყოველთვიურად იზრდება. ნავსადგურში შემოდიან საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, ნორვეგიის, იაპონიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ხომალდები. ამ ხომალდებს მოაქვთ მოწყობილობა, მანქანები, სასურსათო და სამრეწველო საქონელი, ხოლო ბრუნდებიან ქვანახშირით, ცემენტით, ხე-ტყით, მინერალური სასუქებითა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბევრი სხვა სახეობის საექსპორტო პროდუქციით დატვირთულნი.

როცა დელეგაცია ნავსადგურში იყო, იქ იდგა საბჭოთა გემი „ილია მეჩნიკოვი“. მან მოწყობილობა ჩამოიტანა სხვადასხვა საწარმოსათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ნავსადგურში იყო აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის გემი „ლიდიცე“.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს გემი, აგრეთვე საბჭოთა მიწისმწოვი № 20, რომელიც ნავსადგურშია და ზღვასთან ნავსადგურის დამაკავშირებელი არხის ფსკერის გაღრმავებაზე მუშაობს.

შემდეგ დელეგაციის წევრები გაიყვნენ ორ ჯგუფად და განაგრძობდნენ ქალაქის, მისი საწარმოების, მშენებლობათა და დაწესებულებათა გაცნობას. პირველი ჯგუფი ა. ბ. არისტოვის მეთაურობით იყო თევზის საკონსერვო კომბინატში, რომელიც აქ შენდება, მეორე ჯგუფი სტუმრად წავიდა ერთ-ერთი სკოლა-ინტერნატის მოწაფეებთან.

თევზის საკონსერვო კომბინატში, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება, ა. ბ. არისტოვი და მისი თანმხლები პირები გაეცნენ მშენებლობის მიმდინარეობას, დაათვალიერეს უკვე მოქმედი საამქროები.

ქარხნის დირექტორმა ლე ვან კიმ დელეგაციის წევრებს უამბო, რომ კომბინატის სიმძლავრე პირველ ხანად ნავარაუდევია წელიწადში 10 მილიონი ქილა კონსერვის გამოსაშვებად. ამ პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი განკუთვნილია საექსპორტოდ.

ა. ბ. არისტოვი ძალიან დაინტერესდა სარდინით, თუნისითა და სხვა თევზით, რომელსაც ტონკინის ყურეში იჭერენ.

შემდეგ დელეგაცია შეხვდა ქარხნის მუშებს და აქ მომუშავე საბჭოთა სპეციალისტებს. ღამით ხაიფონის საქალაქო თეატრში მოეწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრთა შეხვედრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების დეპუტატებთან (ქალაქ ხაიფონისაგან), ადგილობრივ ხელისუფალთა, ქალაქის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოსახლეობის წარმომადგენლებთან.

შეხვედრის დროს დელეგაციის მეთაურმა ა. ბ. არისტოვმა წარმოთქვა სიტყვა, რაც დამსწრეებმა არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ხანგრძლივი ტაშით.

ა. ბ. არისტოვის გამოსვლის შემდეგ ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარემ ჰოანგ ჰიუ ნიანმა შეკრებილთა და ხაიფონის მთელი მოსახლეობის სახელით მადლობა უძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეთაურს და სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ ქალაქს ეწვივნენ მოძმე საბჭოთა ხალხის წარგზავნილნი.

შეხვედრის შემდეგ სტუმრები გაემგზავრნენ ქალაქის დასათვალიერებლად.

უცხოელი სტუმრები საქართველოში

რამდენიმე დღეა თბილისში იმყოფება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო მუსიკალურ სასწავლებელთა დირექტორების ჯგუფი. მის შემადგენლობაში შედიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მუსიკალურ სასწავლებელთა განყოფილების უფროსი დოცენტი ჰერჰარდ მიულერი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ქალაქ ვაიმარის ფრანც ლისტის სახელობის უმაღლესი მუსიკალური სკოლის დირექტორი დოქტორი ვერნერ ფელიქსი, დრეზდენის კონსერვატორიის დირექტორი დოცენტი ვალტერ ბენში, ქალაქ ლაიფციგის სახალხო მუსიკალური სკოლის დირექტორი ვოლფგანგ რეკლინგი, ქალაქ კოტბუსის სახალხო მუსიკალური სკოლის დირექტორი ანო აპელი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუსიკალური კულტურის მოღვაწეებს აინტერესებთ მუსიკალური განათლების განვითარება საქართველოში, მუსიკალურ სასწავლებლებში სწავლის დაყენება. მათ საუბარი ჰქონდათ ქართული მუსიკალური კულტურის მოღვაწეებთან.

• • •

საქართველოში მიწების მორწყვისა და ამოშრობის სამუშაოთა გასაცნობად ჩამოვიდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტთა ჯგუფი.

ალბანელმა სპეციალისტებმა დაათვალიერეს საქართველოს საირიგაციო მშენებლობის ერთ-ერთი პირმშოს — ტირიფონის სარწყავი სისტემის ნაგებობანი. ახლა ისინი ეცნობიან კოლხიდის ტერიტორიაზე აშენებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს.

• • •

საქართველოში იყვნენ მშენებელი ინჟინრები ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკიდან. მათ დაათვალიერეს რუსთავის მშენებლობები, რუსთავის ცემენტის ქარხანა. თბილისში ჩეხოსლოვაკმა სპეციალისტებმა გაიცნეს ქალაქის ახალშენებანი. (საქდესი).

ავტოგადარბენის მონაწილენი მოსკოვში

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). სმოლენსკის ოლქის ქალაქი ვიაზმა უკანასკნელი ადგილია, სადაც გაჩერდნენ ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი ავტოგადარბენის მონაწილენი მოსკოვში შესვლის წინ. გუშინ დილით ქართველმა სპორტსმენებმა გაიარეს უკანასკნელი რამდენიმე ასეული კილომეტრი, რომლებიც მათ დედაქალაქს აშორებდა.

მოსკოვიდან 23-ე კილომეტრზე საქართველოს, უკრაინის, ბელორუსიისა და რუსეთის სფსრ გზებზე მიმავალი ავტოგადარბენის მონაწილეთ ზეიმით შეხვდნენ ცენტრალური და მოსკოვის ავტომოტოკლუბების, დედაქალაქის სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სტუმრებს მიესალმნენ ცენტრალური ავტომოტოკლუბის უფროსის მოადგილე გ. ეფრემოვი, ავტომოტოკლუბის ტურიზმის სექციის ბიუროს წევრი ნ. მოროზოვი. მოსკოველებმა ალამი გადასცეს ქართველ ავტომოხალისეებს. თბილისის ავტომოტოკლუბის სახელით მასპინძლებს გადაეცათ სამახსოვრო ალამი. საზეიმო შეხვედრის შემდეგ ავტოკოლონამ წრე შემოუარა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებს.

გადარბენის მონაწილენი სამ დღეს დარჩებიან მოსკოვში. ისინი ინახულებენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმს, დაათვალიერებენ სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენას, ეწვევიან ცენტრალურ ავტომოტოკლუბს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის

გადაწყვეტილება № 652

წყლის გადინების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

წყლის ეკონომიური ხარჯვისათვის, აგრეთვე უმიზნო გადინების ლიკვიდაციის მიზნით, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:

1. დაევალოს რაიონულ საბინაო სამმართველოებს, სახლთმმართველებს, საუწყებო სახლების კომენდანტებს, პირად მესაკუთრეებს (სახლის მფლობელებს) მუდამ წესრიგზე იქონიონ სახლის წყალსადენი ქსელი და მისი არმატურა (წყალსასვლები ონკანები, საბაზანო არმატურები და ჩასარეცხი ავზები), დაზიანებისას დაუყოვნებლივ აღკვეთონ გადინება.

2. „თბილწყალსადენის“ სამმართველოს რაიონულმა საექსპლოატაციო კანტორებმა:

ა) აწარმოონ პერიოდული კონტროლი შინაგანი წყალსადენების მდგომარეობასა და შინაგან ქსელში წყლის გადინებაზე. წყლის გადინება რომ იჩენს თავს, „თბილწყალსადენის“ საექსპლოატაციო კანტორის ინსპექტორი ვალდებულია დახმარება გაუწიოს კონსულტაციით, განსაზღვროს გადინების ადგილი, დაადგინოს მისი ლიკვიდაციის ვადა და აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შეამოწმოს ქსელის მდგომარეობა;

ბ) თუ აბონენტი არ შეაკეთებს შენიშნულ დეფექტებს და გადინებას არ აღმოფხვრის „თბილწყალსადენის“ სამმართველოს ინსპექტორის მიერ დადგენილ ვადაში, ტრესტს უფლება აქვს მეორე გაფრთხილების შემდეგ შეუწყვიტოს ამ აბონენტს (სახლს) წყლით მომარაგება;

გ) შინაგანი ქსელიდან გადინებით გამოწვეული მატერიალური ზარალისათვის პასუხს აგებს აბონენტი;

დ) წყალსადენის ქსელის სახლებში წყალსაზომს იქით წყლის გადინების და მის აღმოსაფხვრელად საბინაო სამმართველოს მიერ ზომების მიუღებლობის შემთხვევაში ამ უკანასკნელს უფლება არა აქვს გადინებით გამოწვეული წყლის დანაკარგის ღირებულება დააწეროს მობინადრეებს, აღნიშნულ გადიდებულ ხარჯს მაქსიმალური ტარიფით გადაიხდის სახლთმფლობელობა, ხოლო მობინადრეთა დაუდევრობით გამოწვეული გადინება მაქსიმალური ტარიფით უნდა აანაზღაურონ ბინის დამქირავებლებმა.

3. ამ გადაწყვეტილებისა და „ქალაქის წყალსადენით სარგებლობის წესების“ დამრღვევ პირებს ადმინისტრაციული წესით გადახდებათ ჯარიმა 100 მანეთამდე ან მიესჯებათ იძულებითი მუშაობა 30 დღემდე, ხოლო კანონით გათვალისწინებულ სათანადო შემთხვევებში მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერისი მუხლის მიხედვით.

4. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს „თბილწყალსადენის“ სამმართველოს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
ა. მელაძე.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი **თ. მათიაშვილი.**

ი. ჭავჭავაძის დაბადების 120 და გარდაცვალების 50 წლისთავი

„განდეგილის“ ილუსტრაციების სერია



ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მრავალი ქართველი მხატვარი შთაგონებით მუშაობდა მწერლის პორტრეტზე, მის თხზულებათა ილუსტრაციებზე. ცნობილმა მხატვარმა ლ. გუდიაშვილმა შექმნა ამაღელვებელი ილუსტრაციები ილია ჭავჭავაძის მოთხრობისათვის „კაცია ადამიანი?!“ საუკეთესო შთაბეჭდილებას ტოვებს უ. ჯაფარიძის ილუსტრაციები პოემა „კაკო ყაჩაღისათვის“.

ახალგაზრდა მხატვრების ნაწარმოებებიდან ყურადღებას იპყრობს მხატვარ ალექსანდრე ნაზარიშვილის ილუსტრაციების სერია პოემისათვის „განდეგილი“. მხატვარმა სცადა სიმართლით გადმოეცა „განდეგილში“ გატარებული ღრმა ფილოსოფიური იდეები. ვბეჭდავთ ორ სურათს ა. ნაზარიშვილის ილუსტრაციების სერიიდან. პირველი სურათი გადმოგვცემს ამქვეყნიური ცხოვრებისაგან გაძევებული მწირის დამარცხებას, როცა ლამაზი ქალით მოხიბლულმა მწირმა

„ფეხი წინ წადგა... არ იცის კი რად?
ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილს ფიქრს თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლალის ღიმილით“.

მეორე სურათი მიძღვნილია პოემის იმ ადგილისადმი, სადაც ვნებააშლილი მწირი შეცოდებისათვის ღვთისმშობლის ხატს შეწყალებას ევედრება:

„ზე აიხედა... დედა ღვთის ხატსა
მავედრებელი შეჰმართა თვალი....
და ვაი, წმიდა ღვთის-მშობლის ნაცვლად,
თვალ-წინ დაუდგა იგივე ქალი“.



ფოტორეპროდუქცია შ. ჩხეტიანისა.

მწერლები დიდი წინაპრის საფლავთან

22 ოქტომბერს საქართველოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მთაწმინდაზე, სადაც დიდი ქართველი დემოკრატი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის ნეშტი განისვენებს, შეიკრიბნენ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუმრები მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. კუჭავამ და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მელაძემ მწერლის საფლავი შეამკეს დაფნის გვირგვინით, რომელსაც აქვს წარწერა „დიდ ილიას რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტისაგან“.

საფლავი დაფნის გვირგვინით შეამკეს აგრეთვე სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მდივანმა გ. მარკოვმა და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივნებმა ი. აბაშიძემ და ს. ჭილაიამ.

ილია ჭავჭავაძის საფლავი ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით შეამკეს საქართველოს დედაქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებმა, საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებმა.

თბილისში, ორჯონიკიძის ქუჩაზე...

22 ოქტომბერს, თბილისში, ორჯონიკიძის ქუჩაზე № 22 სახლში, რომელშიც ცხოვრობდა და ქმნიდა ილია ჭავჭავაძე, გაიხსნა სახლ-მუზეუმი. მის ოთხ დარბაზში შეგროვებულია ვრცელი მასალა, რომელიც ასახავს დიდი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

სახლ-მუზეუმში აღდგენილია ი. ჭავჭავაძის სამუშაო კაბინეტი იმ სახით, როგორც წინათ იყო. ავეჯი მისთვის გადმოტანილია საგურამოდან.

ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის გახსნა დიდი მოვლენაა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში, რომლის საზოგადოებრიობა დიდ პატივს სცემს სახელოვანი მწერლის ხსოვნას. სახლ-მუზეუმის გახსნის დღეს იგი ასობით მშრომელმა დაათვალიერა.

დიდი პოეტის ხსოვნის საღამო

მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ხსოვნას. საღამოში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს დედაქალაქის ყველა დრამატული თეატრის მსახიობებმა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ვ. გოძიაშვილმა.

საღამოს პირველ განყოფილებაში რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობებმა აჩვენეს სცენები ი. ჭავჭავაძის მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი“, მთავარ როლს ასრულებდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. ჭავჭავაძე. ამავე მოთხრობიდან სცენები აჩვენეს გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობებმა.

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ი. რუსინოვმა და შაუმიანის სახელობის სომხური დრამის მსახიობმა ს. პაპოვიანმა წაიკითხეს ი. ჭავჭავაძის ლექსები.

საღამოს მეორე განყოფილებაში მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებმა — საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ზ. გომელაურმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა კ. დაუშვილმა და ე. სიბილამ, მსახიობებმა დ. ჭიჭინაძემ, მ. თაბუკაშვილმა, გ. ტატიშვილმა, გ. კოსტავამ და სხვებმა წაიკითხეს ნაწყვეტები ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებიდან. მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს სცენა ი. ჭავჭავაძის მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი?!“, რომელიც ვ. გოძიაშვილმა და გ. ლექავამ შეასრულეს. (საქდესი).

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

ტელეგადაცემათა პროგრამა

24 ოქტომბრისათვის

20.00 — სატელევიზიო ჟურნალი „ჩვენი ახალგაზრდობა“ № 7, 21.00 — ახალი მხატვრული ფილმი „დიტე ადამიანის შვილია“ (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა არ არის მიზანშეწონილი), 22.45 — ხანძარსაწინააღმდეგო ერთთვიურისადმი მიძღვნილი გადაცემა.

მეუღლე პოლინე, შვილები მარო, ბენია, ალიოშა, რძლები ლუსია, ვერა ოჯახებით იუწყებიან **ბებურ დავითის-ძე ხომერიკის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-X სოფელ შრომაში (მახარაძის რ.).

მეუღლე თინა, შვილები ლამარა, ქეთევან, დები ეკატერინე, ელენე, ძმა ლევან ოჯახით იუწყებიან **კირილე მელქისედეკის-ძე დევდარიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-X, 5 ს. დ. შორაპნის რკინიგზის საცხოვრებელი სახლი № 2-დან. დაკრძალვა ზესტაფონში.

შვილები გრიგოლ, ლეონიდე, გერმანე, ლიუდი, მიხეილ, ალექსანდრე, ტარიელ, რძლები ნადეჟდა, ქეთევან, ნადია, გუგული, სიძე ა. სირაძე იუწყებიან **კალისტო პეტრეს-ძე თავართქილაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-X სოფელ ჭაჭიეთში (ჩოხატაურის რ.).

დედა სადიკო, მეუღლე ნატა, შვილები ჯუმბერ, ლორეტა, კონსტანტინე, და პოლინა, ძმა შალვა, რძალი თამარ, სიძე გ. გოგიშვილი ოჯახებით იუწყებიან **დავით ნიკოლოზის-ძე ნიკურაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-X, 5 ს. სამტრედიაში, გამოსვენება ლესელიძის ქ. № 5.

მოქალაქე **ზურაბ ევგენის-ძე ნათბილაძემ**, მცხოვრებმა შრომის ქ. № 11, აღძრა საქმე ვარაზისხევის ქ. № 13 მცხოვრებ მოქალაქე **ლუბა რაჟდენის ასულ ბერუაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **დავით ნიკოლოზის-ძე ბაჩაძემ**, მცხოვრებმა ბოგდან ხმელნიცკის ქ. № 421, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ ივანეს ასულ ბაჩაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლო.

დედა ნინო, მეუღლე ნუნუ, შვილები ზურაბ, მანანა, და ვარვარა, სიძე ვ. ბურჯანაძე შვილით იუწყებიან **რევაზ ივანეს-ძე მენთეშაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25, 26-X, 8 ს. გამოსვენება 27-X, 3 ს. გოცირიძის ქ. № 25.

შვილი ივანე, რძალი ეკატერინე შვილებით იუწყებიან **ნინო სპირიდონის ასულ სიხარულიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-X, 8 ს. გამოსვენება 26-X, 4 ს. მახარაძის ქ. № 15.

დედა მარიამ, მამა დიმიტრი, და ვერა, ძმა ირაკლი გოჩიტაშვილები, სიძე ნ. რუსიშვილი იუწყებიან **ლალი დიმიტრის ასულ გოჩიტაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-X, 7 ს. გამოსვენება 26-X, 4 ს. მეტეხის შესახვ. № 40.

ძმა შალვა, რძალი ოლია შვილებით, სიძე ვ. მაღრაძე იუწყებიან **ვასილ ანდრიას-ძე ბაძგარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-X სოფელ ოფშკვითში (ქუთაისის რ.).

მეუღლე მარიამ, შვილი ზურაბ, რძალი იზა, და ევდუსი, ძმები ირაკლი, ისმაილ, გრიგოლ კენჭაძეები ოჯახებით იუწყებიან **აკაკი ფილიპეს-ძე კენჭაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-X, 8 ს. გამოსვენება 27-X, 3 ს. სულხან-საბას ქ. № 6.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67. სამდივნოსი — 3-06-88. **განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის — 3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი — 3-72-80, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-32-46, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

2

უე 03268

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.